პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 99 (9567) | კვირა, 26 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ყველა ქვეყნის მშრომელებო! მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას! განამტკიცეთ ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში, გაამრავლეთ და დარაზმეთ მშვიდობის მომხრეთა რიგები!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპრეზიდიუმო მოწოდებებიდან.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლის გამო

„პრავდის“ 25 აპრილის მოწინავე

რვა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა — სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა — გაიმარჯვეს ჰიტლერულ ფაშიზმზე და რაც დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. საბჭოთა ადამიანებმა თავიანთ მხრებზე გადაიტანეს დიდი ბრძოლის ძირითადი სიმძიმე. ისინი ამას აკეთებდნენ, რათა დაეცვათ თავიანთი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დახმარებოდნენ ევროპის დამონებულ ხალხებს ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებაში და უზრუნველეყოთ ომის დამთავრების შემდეგ მტკიცე მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება.

განუხრელად იცავს რა ხალხთა შორის მშვიდობის საქმეს, საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც წინათ, ცდილობს განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა. გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის 1953 წლის 9 მარტის სიტყვებში გამოხატულია საბჭოთა ხალხის განუხრელი მისწრაფება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისადმი.

16 აპრილს ამერიკის რედაქტორთა საზოგადოებაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა წარმოთქვა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებისადმი მიძღვნილი სიტყვა. ეს სიტყვა ერთგვარი პასუხია საბჭოთა მთავრობის ამასწინანდელ განცხადებებზე იმის შესახებ, რომ შესაძლებელია სადავო საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრა.

სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის ინტერესი, რასაც პრეზიდენტის სიტყვისადმი ყველა ქვეყანაში იჩენენ ფართო საზოგადოებრივი წრეები, რომლებიც მოელოდნენ ინგლის-ამერიკის ბლოკის ხელმძღვანელთა გამოხმაურებას სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებათა ახალ გამოხატულებაზე.

თანაგრძნობა გამოიწვია პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვებმა: „ჩვენ ვიბრძვით ნამდვილი და სრული მშვიდობისათვის მთელ აზიაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში“, ისევე როგორც მისმა განცხადებამ, რომ „არც ერთი ეს სადავო საკითხი, დიდი იქნება იგი თუ მცირე, გადაუჭრელი არ არის, თუ არსებობს სურვილი პატივი სცენ ყველა სხვა ქვეყნის უფლებებს“.

მაგრამ პრეზიდენტის სიტყვები მშვიდობისა და იმის შესახებ, რომ არც ერთი სადავო საკითხი არ არის გადაუჭრელი, ეწინააღმდეგება ამ სიტყვაში მის მიერ გამოთქმულ სხვა აზრებს.

ვინც მოისურვებს ეიზენჰაუერის სიტყვაში დაინახოს ნამდვილი მისწრაფება მშვიდობისადმი, მათ არ შეუძლიათ არ იკითხონ: რატომ დასჭირდა პრეზიდენტს მშვიდობისადმი მომწოდებელ სიტყვაში არაორაზროვნად გამოეთქვა „ატომური ომის“ შესაძლებლობის მუქარა? ნუთუ ასეთი არგუმენტები პრეზიდენტის სიტყვას მშვიდობის შესახებ უფრო დამაჯერებელს გახდის? ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის მიმართ ასეთ საბუთებს ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასეთ მუქარას არასოდეს არ მიუღწევია მიზნისათვის და ვერც მიაღწევს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თავის სიტყვაში შეეხო მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებს, რომელთა მნიშვნელობა ერთნაირი როდია. მაგრამ საბოლოო ანგარიშით მან თავისი სიტყვა მიუძღვნა უმთავრესად საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხს. მან განაცხადა: „ჩემთვის ცნობილია მხოლოდ ერთი საკითხი, რომელზეც დამოკიდებულია პროგრესი. ეს საკითხი შემდეგია: რას აპირებს საბჭოთა კავშირი?“. ამას მან დასძინა: „ჭეშმარიტების შემოწმება ადვილია. დარწმუნება შეიძლება მხოლოდ საქმით“.

მართალია! არ შეიძლება არ დავთანხმოთ: საქმეს სიტყვაზე მეტი ფასი აქვს.

ამიტომ განვიხილოთ ის დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები, რომელთა სწორ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია მშვიდობის განმტკიცება.

უწინარეს ყოვლისა — კორეის საკითხი.

განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საერთაშორისო წრეების ყურადღების ცენტრში იყო ისეთი საკითხები, როგორიც არის კორეის ომის საკითხი, კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენის საკითხი? როგორც ცნობილია, ასეთი საკითხებით ხდებოდა ამ წლებში ბევრი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შემოწმება.

საბჭოთა ხალხი მუდამ უჭერდა მხარს ყოველ ნაბიჯს, რომელის მიზანი იყო კორეაში სამართლიანი დაზავება. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა ამასწინანდელ წინადადებას, რომელმაც შექმნა ახალი შესაძლებლობა — გადავსულიყავით სიტყვიდან საქმეზე და დასახა კორეის ომის დამთავრების პერსპექტივა, მაშინვე დაუჭირა მხარი საბჭოთა მთავრობამ.

ვინც ეძებს კონკრეტულ პასუხებს, — არა სიტყვებს, არამედ მოქმედებას, — რომელთა მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალური საკითხების გადაჭრა, იმათ შეუძლიათ შეაფასონ აღნიშნული ფაქტის მნიშვნელობა.

განვიხილოთ სხვა საერთაშორისო პრობლემები.

ვის დაავიწყდება, მაგალითად, გერმანიის საკითხი, ან ვის შეუძლია ზოგადი ფრაზებით აარიდოს თავი ისეთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემას, როგორიც არის გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენა დემოკრატიისა და მშვიდობისმოყვარეობის საფუძვლებზე? ვის დააკმაყოფილებს არა მარტო გერმანიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრივ ამ საკითხისადმი ისეთი მიდგომა, როცა, ვთქვათ, გერმანიის დასავლეთ ნაწილს პირდაპირ განიხილავენ როგორც ევროპაში თავიანთი „დინამიკური“ საგარეო პოლიტიკის იარაღს და არ ითვალისწინებენ, თუ როგორ გამოეხმაურება ამას ევროპის ზოგიერთი ხალხი და, უწინარეს ყოვლისა, ფრანგი ხალხი, რომელიც არაერთხელ გამხდარა მილიტარისტული გერმანიის მსხვერპლი.

განა ცხადი არ არის, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრა მოითხოვს გერმანიის ყველა მეზობლის სასიცოცხლო ინტერესების და ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესების გათვალისწინებას და, უწინარეს ყოვლისა, გერმანელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა აუცილებელ გათვალისწინებას.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სიტყვა ამ საკითხის გადაჭრის საფუძველს არ შეიცავს. მან ანგარიში არ გაუწია იმას, რომ არსებობს ოთხი სახელმწიფოს პოტსდამის შეთანხმებანი გერმანიის პრობლემაზე. ასე იქცეოდა ამერიკის შეერთებული შტატების წინანდელი მთავრობაც. მაგრამ თუ გონივრულად მივიჩნევთ იმას, რომ საჭიროა დადებითად გადაიჭრას გერმანიის პრობლემა ევროპაში მშვიდობის განმტკიცების სულისკვეთებით, როგორც ამას განუწყვეტლივ ესწრაფვის საბჭოთა კავშირი, — არ შეიძლება დავივიწყოთ აღნიშნული დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებანი, რომლებსაც ხელს აწერს ორივე ჩვენი სახელმწიფო, აგრეთვე ხელს აწერენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, რომელიც ამ შეთანხმებებს შეუერთდა.

თუ ინგლის-ამერიკის ბლოკი ანგარიშს არ გაუწევს ამას და კვლავ ივლის მის მიერ დასახული გზით, შეუძლებელს გახდის გერმანიის ეროვნულ გაერთიანებას და მის დასავლეთ ნაწილს გადაქცევს მილიტარისტულ სახელმწიფოდ, რომელშიც ძალაუფლება რევანშისტებს დარჩებათ, — ჩადენილ იქნება საბედისწერო შეცდომა, უწინარეს ყოვლისა, გერმანელი ხალხის მიმართ. ამასთან ერთად ასეთი გეზი გერმანიის საკითხში არ შეესაბამება ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს და მთელი პროგრესული კაცობრიობის ინტერესებს.

საქმე ეხება იმას, რომ რაც შეიძლება მალე დაიდოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება, რომელიც გერმანელ ხალხს შესაძლებლობას მისცემს გაერთიანდეს ერთიან სახელმწიფოდ და შესაფერისი ადგილი დაიკავოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა გაერთიანებაში, და რომ ამის შემდეგ გერმანიიდან გაყვანილ იქნან საოკუპაციო ჯარები, რომელთა შენახვა დამატებით ტვირთად აწვება გერმანელ ხალხს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სიტყვაში, რომელიც ეხება საერთაშორისო საკითხების ფართო წრეს, არაფერია ნათქვამი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის ეროვნული უფლებების აღდგენაზე, აგრეთვე მის კანონიერ ტერიტორიულ უფლებებზე, კუნძულ ტაივანის ჩათვლით. განა ეს საკითხი ჩვენი დროის გადაუდებელ საერთაშორისო პრობლემებს არ შეეხება? და მაინც ფაქტია, რომ ამ ვრცელ სიტყვაში ჩინეთის საკითხი გაშუქებული არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩინეთის მიმართ დაჟინებით ახორციელებენ პოლიტიკას, რომელიც ნაკარნახევია იმ მისწრაფებით, რომ უკან შეატრიალონ მოვლენები, რომლებიც განუხრელად ვითარდება, თუმცა ყოველი თვალხილული ადამიანი ხედავს, რომ ასეთი პოლიტიკა გარდუვალად ჩაიფუშება.

ეიზენჰაუერმა თავის სიტყვაში ჩამოაყალიბა ხუთი „მცნება“, რომლებიც მისი სიტყვით, განსაზღვრავენ „შეერთებული შტატების მოქმედებას საერთაშორისო საქმეების დარგში“. ამ „მცნებებში“ ნათქვამია, რომ „მთელ კაცობრიობას სწყურია მშვიდობა, ძმობა და სამართლიანობა“, რომ „ყოველ ქვეყანას აქვს განუყრელი უფლება საკუთარი არჩევანით შექმნას მმართველობის თავისი ფორმა და თავისი ეკონომიკური სისტემა“, რომ „ყოველი ქვეყნის ცდა — თავს მოახვიოს სხვა ქვეყნებს მმართველობის ფორმა, არ შეიძლება გამართლებულ იქნას“ და სხვ.

ეს პრინციპები ნამდვილად რომ განსაზღვრავდნენ აღერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას და ისინი რომ მარტო ზოგად დეკლარაციებად არ რჩებოდნენ, — ეს უნდა გამოვლინებულიყო კორეის საკითხის მიმართაც, გერმანიის მიმართაც, ჩინეთის მიმართაც. საქმეც ის არის, რომ დეკლარაციები განმტკიცებული არ არის საქმეებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნამდვილი პოლიტიკა დღემდე ნაკლებ ანგარიშს უწევდა ასეთ დეკლარაციებს ამ საკითხების და ბევრი სხვა საერთაშორისო საკითხის გადაჭრისას.

პრეზიდენტის სიტყვაში განსაკუთრებული ყურადღება აქვთ დათმობილი აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს. პრეზიდენტის სიტყვებიდან ჩანს, ფიქრობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მმართველობის ფორმები გარედან არის თავსმოხვეული, თუმცა ეს ეწინააღმდეგება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და ამ ქვეყნების ნამდვილ მდგომარეობას.

ფაქტები მოწმობენ, რომ მხოლოდ თავიანთი უფლებებისათვის შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვეს აღმოსავლეთ ევროპის ხალხებმა მმართველობის ახლანდელი სახალხო-დემოკრატიული ფორმა და რომ მხოლოდ ახალ პირობებში შეძლეს მათ უზრუნველეყოთ თავიანთ სახელმწიფოებში ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარება. უცნაური იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირი ჩარეულიყო ამ ხალხების მიერ დამხობილი რეაქციული რეჟიმების აღდგენის სასარგებლოდ.

ამავე დროს პრეზიდენტი პირდაპირ სცოდავს საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული კანონზომიერების წინააღმდეგ, როცა იგი „მოუწოდებს“ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას „გამოიყენოს თავისი გადამწყვეტი გავლენა კომუნისტურ სამყაროში“ იმისათვის, რომ შეანელოს აზიის კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა საუკუნეობრივი ჩაგვრისა და დამონების წინააღმდეგ. ძნელია იმედი ვიქონიოთ, რომ სწორად იქნება გაგებული საერთაშორისო პრობლემები, სანამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას განიხილავენ როგორც ცალკეული „ბოროტმზრახველი“ ადამიანების ინსპირაციის შედეგს.

სრულიად გაუგებარია პრეზიდენტის სიტყვები იმის შესახებ, რომ მიეხიოს „სხვა ხალხებს, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს“, სხვა ქვეყნებთან გაერთიანების თავისუფლება „მსოფლიო უფლებრივ გაერთიანებაში“. ყველასათვის ცნობილია, თუ სახელდობრ ვინ აბრკოლებს ზოგიერთი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ვინ უშლის ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიდი ჩინეთის კანონიერი უფლებების აღდგენას. განა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა არ შეიტანეს წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიეღოთ 14 ქვეყანა, — წინადადება, რომელიც უარყოფილ იქნა ინგლის-ამერიკის ბლოკის ხმებით?

რაც შეეხება ავსტრიის ხელშეკრულებას, მის შესახებ შეიძლება გავიმეოროთ, რომ აქაც არ არის ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრაც არ შეიძლებოდეს წინათ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, თუ ნამდვილად იქნება დაცული ავსტრიელი ხალხის დემოკრატიული უფლებები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ.

პრეზიდენტმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მზად არის გადააქციოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ისეთ ინსტიტუტად, რომელსაც შეეძლება ქმედითად დაიცვას ყველა ხალხის მშვიდობა და უშიშროება.

საბჭოთა კავშირის ბრალი როდია, რომ ეს ორგანიზაცია ახლა ვერ ასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს. მაგრამ ახლაც გვიან არ არის ავამაღლოთ მისი საქმიანობის მნიშვნელობა, განსაკუთრებით მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში, რაც ამ ორგანიზაციის შექმნის მთავარი მიზანი იყო.

ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს იცავდეს ყველა მისი წევრი, რომ არ ირღვეოდეს მისი წესდების თვით საფუძვლები. ამისათვის საჭიროა, რომ არც ერთი მთავრობა არ ცდილობდეს გადააქციოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი საგარეო პოლიტიკის დამხმარე ორგანოდ, რადგან ეს შეუთავსებელია როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებთან, ისე ნორმალური საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესების დაცვის მიზნებთან.

საკითხავია, რისთვის მოაწერა ხელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 60-ვე წევრმა მის წესდებას, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთხმივობის წესი უშიშროების საბჭოში მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხების განხილვისას? იმისათვის კი არა, რომ ყველა ქვეყნის მიერ აღიარებულ ამ წესს პრაქტიკაში უგულებელყოფდეს ზოგიერთი სახელმწიფო! და არც იმისათვის, რასაკვირველია, რომ ეს საერთაშორისო პრინციპი განხილულ იქნას, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და უშიშროების საბჭოს საქმიანობის რაღაც ტვირთი ან დაბრკოლება.

ბოლოს, ვის შეუძლია ნორმალურად ჩათვალოს ისეთი მდგომარეობა, როცა მსოფლიოს ყველაზე დიდი ქვეყანა — ჩინეთი მოკლებულია საშუალებას მონაწილეობდეს უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის მუშაობაში, ხოლო ამის ნაცვლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში წამოსკუპებულია რაღაც გომინდანელი ფიტული.

განა ასეთი მდგომარეობა ხელს შეუწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის განმტკიცებას? განა ასეთ პირობებში შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა ნორმალურად განვითარდება და იგი შეასრულებს თავის მოვალეობას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში?

ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხის, ისევე როგორც მთელი რიგი სხვა მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას გვერდს ვერ ავუვლით. თუ ჩვენ ყველას გვსურს, რომ ლაპარაკი ნაკლები იყოს და საქმე მეტი, მაშინ, ალბათ, შევძლებთ გამოვნახოთ ასეთი პრობლემების გადაჭრის გზაც.

პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში შეიარაღების შემცირების საკითხი უსაფუძვლოდ როდი დაუკავშირა იმას, რომ საჭიროა უფრო სერიოზული ყურადღება მიექცეს ეკონომიკურ პრობლემებს, სილატაკესთან და გაჭირვებასთან ბრძოლის პრობლემებს. მაგრამ საეჭვოა ვინმე დააკმაყოფილოს იმან, რომ ეს საქმე ამოიწურო რაღაც „მთელი მსოფლიოსადმი დახმარების ფონდის“ შექმნით, რაზედაც ლაპარაკი იყო ამ გამოსვლაში.

ასეთი „ფონდისათვის“ მარტოოდენ მყვირალა სახელის დარქმევა როდი კმარა.

სხვა შედეგები იქნება, თუ ასეთი პრობლემისადმი მიდგომას საფუძვლად დაედება ქვეყნებს შორის ნამდვილად ფართო და დემოკრატიული თანამშრომლობა და ხალხთა სუვერენული უფლებების სრული პატივისცემა ისე, რომ ქვეყნებს, რომლებსაც დახმარება ეძლევათ, თავს არ მოახვიონ პოლიტიკური პირობები.

ჯერჯერობით იქიდან, რაც პრეზიდენტმა „მთელი მსოფლიოსადმი დახმარების ფონდის“ შესახებ თქვა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აქ ჩვენს წინაშეა ახალი ვარიანტი „მარშალის გეგმისა“, რომელმაც თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა, და ამასთანავე გაგრძელება, სხვა სახელწოდებით ტრუმენის არაპოპულარული „მეოთხე პუნქტისა“, რომელიც ამა თუ იმ სუსტი სახელმწიფოსადმი წვრილ-წვრილი ნაბოძვარის საშუალებით ცდილობდა ცალკეული ქვეყნებისა და კოლონიური ტერიტორიების ბიუჯეტები და ეკონომიკა, — მაშასადამე, თვით ეს ქვეყნებიც და ტერიტორიებიც, — დაემორჩილებინა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ეგრეთწოდებული „დინამიკური“ მიზნებისათვის. როგორც ჩანს, ახლა მხედველობაში აქვთ კიდევ უფრო შორს წავიდნენ ამავე გზით.

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ ამ ბოლო დროს საქმე იქამდე მიდის, რომ პირდაპირ უარს ამბობენ ამერიკის ეკონომიკურ „დახმარებაზე“, როგორც ამას მოწმობს ბირმისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მაგალითი.

აგრეთვე ცნობილია, რომ ამ ბოლო დროს მთელი რიგი სახელმწიფოები აკეთებენ გარკვეულ განცხადებებს, რომ მათ აინტერესებთ არა იმდენად ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებული „დახმარება“, რამდენადაც ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სულ ახალ და ახალ დაბრკოლებას არ ქმნიდნენ სახელმწიფოებს შორის ნორმალური ვაჭრობის განვითარების გზაზე, საერთაშორისო საქონელბრუნვის გაფართოების გზაზე.

საქმე იქამდე მიდის, რომ იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ემხრობიან ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით არსებულ ბლოკს, და, უწინარეს ყოვლისა, ინგლისში, სულ უფრო ხმამაღლა გამოთქვამენ უკმაყოფილებას დემოკრატიული ბანაკის სახელმწიფოებთან ვაჭრობის იმ შეზღუდვების წინააღმდეგ, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები უკარნახებენ.

მშვიდობისადმი მოწოდებანი, რასაც პრეზიდენტის სიტყვა შეიცავს, ცხადია, ჩვენს ჯეროვან მხარდაჭერას ჰპოვებენ. მაგრამ ძნელია გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი ჯერჯერობით დაშორებულია ამ მშვიდობისმოყვარულ მოწოდებებს. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა, მაგალითად, პრეზიდენტის სიტყვის ის კომენტარი, რომელიც ეიზენჰაუერის გამოსვლიდან სულ ორიოდე დღის შემდეგ გააკეთა ისეთმა ავტორიტეტიანმა პირმა, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ინგლისის ლეიბორისტული მთავრობის ყოფილ მინისტრს სტრეჩის, რომელმაც დალესის სიტყვა დაახასიათა როგორც მისწრაფება „ომის აქტად“ გადააქციოს ეიზენჰაუერის სიტყვა.

დალესმა რამდენადმე შუქი მოჰფინა იმ ფაქტს, რომ ეიზენჰაუერმა თავის სიტყვაში დუმილით აუარა გვერდი ჩინეთს, რამაც საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია. თურმე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას აწუხებს ეგრეთწოდებული „ეროვნული“ ჩინეთის, ე. ი. ჩანკაიშელ გარეწართა ბედი, რომლებიც ჩინელმა ხალხმა ძლევამოსილი ბრძოლის შედეგად გააძევა თავისი ქვეყნიდან. რაც შეეხება ნამდვილად ეროვნულ ჩინეთს და მის ერთადერთ კანონიერ სახალხო-დემოკრატიულ მთავრობას, დალესი დამსახურებადაც კი უთვლის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ მან პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადა მოუწყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

დალესის აგრესიულობა დიდი ხანია ცნობილია. შესაძლოა, რომ მისი გამოსვლა პრეზიდენტის სიტყვის რამდენადმე თავისუფალი ინტერპრეტაციაა. მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ იმ ფაქტს, რომ იგი სათავეში უდგას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს და მისი სიტყვები ნებსით თუ უნებლიეთ უკავშირდება იმ მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისს, რომელსაც სათავეში უდგას ეიზენჰაუერი.

ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია დუმილით ავუაროთ გვერდი დალესის მტკიცებას, თითქოს საბჭოთა ხელმძღვანელების მოწოდება სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ გაკეთებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებული მტკიცე პოლიტიკის ზემოქმედებით. მაგრამ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები თავიანთ მოქმედებას განსაზღვრავენ არა სსრ კავშირის მიმართ ამა თუ იმ ქვეყნის „მტკიცე“ თუ „რბილი“ პოლიტიკის მოსაზრებებით, არამედ საბჭოთა ხალხის ძირეული ინტერესების მიხედვით, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესების მიხედვით.

თუმცა აგრესიული პოზა, რომელიც ასე უყვარს დალესს, ვინმეს, შესაძლოა, კიდევაც ეჩვენებოდეს ეფექტურად, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს მიზანს აღწევდეს, განსაკუთრებით დიპლომატიის დარგში. დაუკავშირა რა ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ სამშვიდობო წინადადებათა წარმოდგენის შესაძლებლობა ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნას, „გაერთიანებული შეიარაღებული ძალების, მათ შორის საფრანგეთისა და გერმანიის ძალების“ შექმნის გეგმებს, ესე იგი შემდგომ გამალებულ შეიარაღებას, — დალესმა, შესაძლოა თავისი სურვილის წინააღმდეგ, გამოამჟღავნა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ნამდვილი აზრი. მაგრამ თუ ეიზენჰაუერის გამოსვლის ნამდვილი აზრი ისეთია, როგორც ეს წარმოდგენილია დალესის უფრო ვრცელ სიტყვაში, რომელიც მან პრეზიდენტის შემდეგ წარმოთქვა იმავე აუდიტორიაში და იმავე მსმენელთა წინაშე, ეს გამოსვლა დადებითს შედეგებს ვერ მოიტანს მშვიდობის განმტკიცების ინტერესების თვალსაზრისით.

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლების ასეთ განცხადებებთან დაკავშირებით ძნელია განვსაჯოთ, თუ ნამდვილად რას წარმოადგენს ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური პოზიცია. მხედველობაში აქვთ იარონ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების გზით და სადავო საკითხები გადაჭრან სხვა ხალხთა უფლებების პატივისცემის საფუძველზე, თუ მხედველობაში აქვთ განაგრძონ გამალებული შეიარაღების წინანდელი პოლიტიკა.

საბჭოთა ხელმძღვანელების აზრით, წინადადებანი, რომელთა ნამდვილი მიზანია მშვიდობა, შეიძლება საფუძვლად დაედოს საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებას. მაგრამ ეს ჯერ არ ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები მზად არიან ასეთ წინადადებებად მიიჩნიონ ძველი ხერხების ახალი ვარიაციები.

თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ილაპარაკა ომისშემდგომი პერიოდის შედეგებზე, დაწყებული იმ მომენტით, როცა „ჭამარჯვების გაზაფხულზე დასავლეთელ მოკავშირეთა ჯარისკაცები შეხვდნენ რუსეთის ჯარისკაცებს ევროპის ცენტრში“.

ამ შედეგებზე რომ ლაპარაკობდა, ეიზენჰაუერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოს ქვეყნები გაიყვნენ და ორი სხვადასხვა გზით წავიდნენ. ამასთან, ფაქტების სრულიად საწინააღმდეგოდ, ეიზენჰაუერი ისე გვიხატავს საქმეს, თითქოს ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნები მიზნად ისახავდნენ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას, ხოლო საბჭოთა კავშირმა და მისმა მეგობარმა სახელმწიფოებმა არ მოიხსურვეს ამ გზით წასვლა. მისი ნათქვამი შეგვიძლია იმ აზრითაც კი გავიგოთ, რომ საბჭოთა კავშირში ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენა და ეკონომიკური ძლიერების განმტკიცება ომისშემდგომ პერიოდში თითქოს „აგრესიის ახალ საფრთხედ“ გადაიქცა.

სსრ კავშირის მიმართ ასეთი მტკიცება ნიშნავს, მეტი რომ არა ვთქვათ, ობიექტურობის გრძნობის დაკარგვას და იმ საყოველთაოდ ცნობილ გარემოებათა უგულებელყოფას, რომლებიც სავსებით გარკვეულად მოწმობენ ჩვენი ქვეყნის არა მარტო მშვიდობისმოყვარულ მიზნებს, არამედ იმასაც, რომ საბჭოთა კავშირი იყო და არის საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მთავარი ბურჯი და ძირითადი ფაქტორი.

ასეთი განცხადებანი პრეზიდენტმა გააკეთა ალბათ იმ მიზნით, რომ რამდენადმე მშვიდობისმოყვარულად წარმოედგინა ინგლის-ამერიკის ბლოკის პოლიტიკა. მაგრამ სულ სხვას მოწმობენ მის მიერვე მოყვანილი ციფრები და ფაქტები ამერიკის შეერთებული შტატების უაღრესად გაბერილი სამხედრო ხარჯების შესახებ, რომლებიც წლითიწლობით მატულობს. ეს ფაქტები მოწმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი სახალხო მეურნეობის უმაგალითო მილიტარიზაციას. იმას, რომ ხალხისათვის აუტანელია სამხედრო ხარჯების ტვირთი, რომ გამალებულმა შეიარაღებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოშვა შიშისა და უკიდურესი დაძაბულობის ატმოსფერო. ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს სამხედრო ისტერიის ზრდას, ქვეყნების გარკვეულ ჯგუფსაც ამავე გზაზე აყენებს.

ეიზენჰაუერმა აღნიშნა, რომ ამერიკის მთავრობა უდიდეს თანხებს ხარჯავს ზარბაზნებისა და რაკეტიანი ყუმბარების, ბომბდამშენებისა და ავიაგამანადგურებლების წარმოებისათვის, საესკადრო ნაღმოსნებისა და სხვა სამხედრო ხომალდების ასაგებად, ამასთან ისიც არ დავიწყებია, რომ ქება შეესხა აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტისათვის. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტით შთაგონებული პოლიტიკა მოასწავებს სულ ახალ კოლოსალურ სამხედრო ხარჯებს. საკმარისია ითქვას, ამერიკელი გადასახადგადამხდელებისაგან შეგროვებული სახსრების რა უდიდეს ფლანგვას წარმოადგენს სამხედრო ბაზების მშენებლობა და შენახვა ამერიკის შეერთებულ შტატებს მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ ტერიტორიებზე და განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, რომელთა გამოყენებასაც ვარაუდობენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიული მიზნებით.

პრეზიდენტმა მოიყვანა გაანგარიშებანი, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა ჯდება საესკადრო ნაღმოსნის, ავიაგამანადგურებლის, ბომბდამშენისა და სხვათა აგება და რამდენი ბუშელი ხორბლის და ტონა ბამბის დაზოგვა ან რამდენი სკოლისა და საავადმყოფოს აგება შეიძლებოდა ასეთი სამხედრო ობიექტების წარმოებაზე უარის თქმის შედეგად. ამასთან ცოტა საგულისხმო ციფრი როდი იყო მოყვანილი. მაგრამ ის, რაც პრეზიდენტმა თქვა, სრულებითაც არ კმარა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რომ ეთქვა, თუ რა უჯდება ამერიკელ ხალხს ატომური ბომბების მარაგის დაგროვება, აგრეთვე მრავალი ასეული სამხედრო ბაზის მშენებლობა ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს დაშორებით, — და ყოველივე ამას ხომ საერთო არა აქვს რა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის არავითარ ინტერესებთან, — მაშინ მივიღებდით სინამდვილესთან გაცილებით უფრო დაახლოებულ და ბევრად უფრო საგულისხმო სურათს. მაგრამ, როგორც ჩანს, მიაჩნიათ, რომ ამაზე გულახდილად და ამკარად ლაპარაკ

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლის გამო

(დასასრული)

ისახავს მსოფლიო ბატონობის განუხორციელებელ მიზნებს, რაც მრავალი ქვეყნის ფართო წრეების მზარდ წინააღმდეგობას იწვევს.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც განუხრელად ზრუნავს თავისი სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარებისათვის, არ დასდგომია გამალებული შეიარაღების გზას. საბჭოთა კავშირი არა მარტო არ დასდგომია ამ გზას, არამედ არაერთხელ წამოუყენებია კონკრეტული წინადადებანი, რომ დიდ სახელმწიფოებს სხვა სახელმწიფოებთან ერთად განუხორციელებინათ გადამწყვეტი ღონისძიებანი შეიარაღების შესაზღუდავად, შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ხარჯების დაუყოვნებლივ შესამცირებლად, ამასთანავე შეთანხმებულიყვნენ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი დაეწესებინათ ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი, რომელიც გამორიცხავდა რომელიმე სახელმწიფოს მიერ ამ გადაწყვეტილებათა დარღვევის შესაძლებლობას.

ეიზენჰაუერი თავის სიტყვაში ეხება შეიარაღების შემცირების საკითხსაც. მის სიტყვაში ამ საკითხისადმი მიძღვნილია შესაბამისი ხუთი პუნქტი. საბჭოთა მხარეს, რასაკვირველია, ამ პუნქტებში ჩამოყალიბებულ წინადადებათა საწინააღმდეგო არა აქვს რა. მაგრამ ყველა ეს წინადადება მეტად ზოგადი ხასიათისაა, რაც სრულიადაც ვერ დაძრავს ადგილიდან შეიარაღების შემცირების გადაუდებელ საქმეს.

ეიზენჰაუერის სიტყვით გამოდის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თითქოს მუდამ მოითხოვდა შეიარაღების შემცირებას, ხოლო საბჭოთა კავშირი საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა და თითქოს ხელსაც კი უშლიდა ამას.

აქ ჩანს ცდა — საბჭოთა კავშირს გადააბრალონ ის, რომ უკანასკნელ წლებში ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნებში გაჩაღებულია გამალებული შეიარაღება. მაგრამ ამ ცდას არავითარი საფუძველი არა აქვს და მხოლოდ იმას გამოხატავს, რომ სურთ თავიანთი ბრალი თავს მოახვიონ სხვას.

მართლაც, განა საბჭოთა კავშირში კორეის ომსა და გამალებულ შეიარაღებას ქებას ასხამდნენ როგორც ხელსაყრელ „ბიზნესს“, როგორც მოსახლეობის საქმიანი აქტივობისა და სრული დასაქმებულობის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებას? განა საბჭოთა კავშირში არსებობს ეგრეთწოდებული „შიში მშვიდობის წინაშე“, განა ბირეაზე ეცემა აქციების კურსი, როცა ქვეყნდება ცნობები საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების შესახებ? ყოველივე ეს ხდება არა საბჭოთა კავშირში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაშ რა შუაშია აქ საბჭოთა კავშირი, რომელსაც არ ესაჭიროება გამალებული შეიარაღება, რომელიც ყოველთვის მოითხოვდა და მოითხოვს მტკიცე, ხანგრძლივ მშვიდობას და რომელიც არ განიცდის შიშს მშვიდობის წინაშე.

რა თქმა უნდა, ეიზენჰაუერი მართალია იმაში, რომ ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გზები გაიყარა. მაგრამ ეს ფაქტი ეიზენჰაუერის 16 აპრილის გამოსვლაში გაშუქებულია არასწორად, შეიძლება ითქვას, დამახინჯებულადაც კი.

თუ ფაქტების მტკიცე ნიადაგზე დავდგებით, ყოველგვარი ბუნდოვანობა ამ საქმეში სავსებით გაქრება. მართლაც არ შეიძლება უგულებელვყოთ, რომ ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნებმა, რომლებიც უკანასკნელი მსოფლიო ომის პერიოდში სსრ კავშირის მოკავშირეები იყვნენ, ამ ომის დამთავრებისთანავე შეაბრუნეს თავიანთი პოლიტიკის საჭე. ისინი ბევრ რამეში დაუბრუნდნენ ძველ ომამდელ გზას, როცა საბჭოთა კავშირისადმი მათს დამოკიდებულებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვუწოდებდით მეგობრულს და როცა მათი პოლიტიკის კურსი ჩვეულებრივად მოპირდაპირე მიმართულებით მიდიოდა.

ჩვენ არ ვაპირებთ დისკუსია გავუმართოთ პრეზიდენტს იმ საკმაოდ უცნაური მტკიცების გამო, რომ საბჭოთა პოლიტიკაში გარკვეული ხანის რაღაც დამთავრება მოხდა. მაგრამ არ შეიძლება არ გაგვაკვირვოს მისმა დასკვნამ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ თითქოს ხელი უნდა აიღოს თანამომდევნობაზე საგარეო პოლიტიკაში, რომლის სისწორეც დაამტკიცა საერთაშორისო განვითარების მთელმა მსვლელობამ.

თუ ხანის დაწყებას ან დამთავრებას ამა თუ იმ სახელმწიფოს სათავეში ახალი პირების გამოჩენას დავუკავშირებთ, ჩვენ უფრო მეტი საფუძვლით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში დამთავრდა ხანა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ეიზენჰაუერის მთავრობა. მაგრამ თვითონ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი რატომღაც უყოყმანოდ იცავს თავისი წინამორბედის მთელ პოლიტიკას, რომელსაც იგი ერთ დროს, განსაკუთრებით წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, არც თუ უსაფუძვლოდ აკრიტიკებდა ბევრ რამეში.

თავის სიტყვაში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის „მიესალმოს მშვიდობიანი განზრახვების ყოველ ნამდვილ დადასტურებას“. ამასთან მან დააყენა კითხვა: რას აპირებს საბჭოთა კავშირი?

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ მზად იყო მეგობრული გზით განეხილა და გადაეწყვიტა მომწიფებული საერთაშორისო საკითხები იმ პირობით, რომ ამ საკითხების გადაწყვეტის შესახებ წინადადებები, ვისაც უნდა წამოეყენებინა ისინი, რამდენადმე მისაღებია და არ ეწინააღმდეგება როგორც საბჭოთა ხალხის ძირითად ინტერესებს, ისე სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესებს.

თავის სიტყვაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რატომღაც შესაძლოდ მიიჩნია თავისი წინადადებანი მშვიდობის შესახებ დაეკავშირებინა მთელ რიგ წინასწარ პირობებთან, რომლებსაც იგი საბჭოთა კავშირს უყენებს, თუმცა ეს პრეტენზიები მის გამოსვლაში დასაბუთებული არ არის საათანადო ვალდებულებებით ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ.

საკითხის ასეთმა დაყენებამ უკვე გამოიწვია კანონიერი წინააღმდეგობა სულ სხვადასხვა საერთაშორისო წრეებში. მას არ შეეძლო არ გამოეწვია იმ ადამიანთა გაკვირვება, რომლებსაც უნარი შესწევთ რეალისტურად შეფასონ როგორც მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების არსი, ისე იმ ძალებისა და ფაქტორების ნამდვილი თანაფარდობა, რომლებიც საერთაშორისო ვითარებას განსაზღვრავენ. ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმსმა“ სამართლიანად შენიშნა, რომ „არც ერთი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი იქნება ეს, შეერთებული შტატები თუ ინგლისი — არ მოისურვებს უპაერლაციო პირობებით განიხილოს სამშვიდობო ღონისძიებანი“.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელმძღვანელები თაგიანთ მოწოდებას საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ არ უკავშირებენ რაიმე წინასწარ მოთხოვნებს ამერიკის შეერთებული შტატების ან სხვა ქვეყნებისადმი, რომლებიც მიემხრნენ ან არ მიმხრობიან ინგლის-ამერიკის ბლოკს. განა ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა მხარეს არავითარი პრეტენზია არა აქვს? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელმძღვანელები მიესალმებიან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან სხვა ქვეყნის მთავრობის ყოველ ნაბიჯს, თუ ამის მიზანი იქნება სადავო საკითხების მეგობრული მოწესრიგება. ეს მოწმობს, რომ საბჭოთა მხარე მზად არის შესაბამისი პრობლემების სერიოზული საქმიანი განხილვისათვის როგორც პირდაპირი მოლაპარაკების გზით, ისე, საჭირო შემთხვევებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებშიც.

პრეზიდენტის სიტყვაში ნათქვამია, რომ სადავო საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტისას „შეერთებული შტატები მზად არიან იკისრონ სამართლიანი წილი“. ეს განცხადება ეიზენჰაუერის 16 აპრილის გამოსვლაში არაფრით არ ყოფილა დასაბუთებული. ეს კი საჭიროა ამ განცხადებისათვის.

რაც შეეხება სსრ კავშირს, არავითარი საფუძველი არა გვაქვს დავეჭვდეთ, რომ იგი მზად არის იკისროს შეესაფერისი წილი სადავო საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტისას. საბჭოთა კავშირს ეს არაერთხელ დაუმტკიცებია სერიოზულ საერთაშორისო საქმეებში.

ასეთია საერთაშორისო ვითარება ამჟამად.

პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ინტერესებს. იგი შეესაბამება ყველა იმ სახელმწიფოს მისწრაფებას, რომელნიც მზად არიან ხელი შეუწყონ საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, მიუხედავად ამა თუ იმ სოციალური სისტემისა. სსრ კავშირის ეს პოლიტიკა ამასთანავე გამოხატავს ჩვენი ხალხის ძლიერ მისწრაფებას საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისადმი.

ლენინის სახელობის მაღარომ ოქსი თვის გეგმა შეასრულა

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). ლენინის სახელობის მაღარომ, რომელიც ჭიათურაში ყველაზე დიდია, საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად 21 აპრილს შეასრულა მარგანეცის საწარმოო-ტექნიკური პროდუქციის ოთხი თვის გეგმა.

მაღაროს კოლექტივი მშობლიურ მეტალურგიას გეგმის გადამეტებით საპირველმაისოდ მიაწოდებს რამდენიმე ათას ტონა მარგანეცს.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება

საანგარიშო-საარჩევნო კრება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს საანგარიშო-საარჩევნო კრების გულდასმით მომზადებას და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებას. პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები ყოველდღიურ, კონკრეტულ ხელმძღვანელობას უნდა უწევდნენ ამ საქმეს.

პარტიული კრება, მით უმეტეს საანგარიშო-საარჩევნო კრება, ქვემოდან კრიტიკის ტრიბუნაა. პარტიის წევრთა კონტროლი თაგიანთი არჩევითი პარტიული ორგანოს მუშაობისადმი — შინაპარტიული დემოკრატიის ურყევი კანონია. პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ან ბიუროს საანგარიშო მოხსენების მოსმენა და განხილვა, გაწეული საქმიანობის შეფასება, მუშაობის შეცდომებისა და ნაკლოვანებათა კრიტიკა, მომავალი მუშაობისთვის პრაქტიკული ამოცანების დასახვა — ყოველივე ამაში გამოიხატება პარტიული მასების კონტროლი მათ მიერ არჩეული პარტიული ორგანოს მუშაობისადმი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ, რომელიც კომუნისტთა აღზრდის სკოლაა, უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს პარტიის წევრთა აქტივობისა და ინიციატივის ამაღლების საქმეში, იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ცენტრალური კომიტეტის წინანდელი ხელმძღვანელობის მანკიერი სტილით მუშაობის შედეგების აღმოსაფხვრელად.

იმისათვის, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრება კომუნისტთა მაღალი აქტივობით ჩატარდეს, საჭიროა პარტიის წევრები გულდასმით მოემზადონ ანგარიშისათვის. კომუნისტებს 3-4 დღით ადრე უნდა ეცნობოს კრების მოწვევის ადგილი და დრო.

დიდი მნიშვნელობა აქვს საანგარიშო მოხსენების მომზადებას. მასში გამოხატულება უნდა ჰპოვოს პარტორგანიზაციის ცხოვრებამ, პარტიული და სამეურნეო მუშაობის ყველა ძირითადმა საკითხმა.

შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპის ურყევად დაცვა საანგარიშო-საარჩევნო კრების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების ძირითად პირობას წარმოადგენს. საჭიროა მტკიცედ დავიცვათ კრიტიკისა და თვითკრიტიკის თავისუფლება, კანდიდატთა წამოყენებისა და აცილების უფლება, ურყევად გავატაროთ ფარული კენჭისყრის წესი.

აუცილებელია, რომ კომუნისტთა ყველა წინადადება და შენიშვნა გათვალისწინებულ იქნას დადგენილებაში, რომელსაც საანგარიშო-საარჩევნო კრება მიიღებს. ამ დადგენილების შესრულებისათვის ყველა კომუნისტის დარაზმვა პირველადი პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანაა.

როცა კრიზიკას გაურბიან

თბილისის კონიაკ-არყის ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა გასული წლის მეოთხე კვარტალში კარგად იმუშავა. გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა, რისთვისაც სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ მას გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მიაკუთვნა.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან კომუნისტები.

ამ წარმატებებზე ილაპარაკა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტბიუროს მდივანმა ამხ. ბ. სარაჯიშვილმა თავის მოხსენებაში. სამაგიეროდ მასში ძალიან ცოტა ადგილი ჰქონდა დათმობილი კრიტიკასა და თვითკრიტიკას, არსებულ ნაკლოვანებათა მხილებას.

სანგარიშო მოხსენების ეს ნაკლი ნაწილობრივ შეავსეს კამათში გამოსულმა ამხანაგებმა. მათ გააკრიტიკეს საქარხნო კომიტეტი, რომელიც ცუდად იბრძვის იმისათვის, რომ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება მუშებსა და მოსამსახურეებს შორის, აღნიშნეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები მუშებს კვარტალში მხოლოდ ერთხელ ეცნობათ. აქ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან შრომის მოწინავე მეთოდების პოპულარიზაციისა და დანერგვისათვის. იშვიათად იწვევენ საწარმოო თათბირებს მტკივნეული საკითხების განსახილველად. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგიტატორები.

ამ კრებაზე არც მომხსენებელს და არც მოკამათეებს არ მოუციათ ნაკლოვანებათა ღრმა ანალიზი, არ უჩვენებიათ მათი გამოსწორების გზები. არც ერთი კრიტიკული სიტყვა არ თქმულა კერძოდ ქარხნის დირექციის, სამტრესტისა და პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მიმართ. განა ეს საჭირო არ იყო?!

მ. ჟუმარიტაშვილი.

ერთი კრების არსებითი ნაკლოვანებანი

ჭუთაისის ელექტროსადგურის საქმიანობაში ბევრია ნაკლი. იგი ვერ მუშაობს რიტმულად, არ სრულდება საწარმოო გეგმები, ჭიანურდება ელექტროკოსტებისა და ქსელის რემონტი. ყურადღება არ ექცევა ელექტროენერგიით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ეს ნაკლოვანებანი არ იქნებოდა, ელექტროსადგურის პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად რომ მუშაობდეს, უნარიანად ახორციელებდეს კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი.

ყველა ამ ნაკლოვანებაზე ილაპარაკეს კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც 22 აპრილს გაიმართა. კრებაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ პარტორგანიზაცია ხშირად განიხილავდა პარტიულ და სამეურნეო საკითხებს, იღებდა სათანადო გადაწყვეტილებებსაც, მაგრამ შემდეგ არავინ ზრუნავდა მათი შესრულებისათვის, ბოლომდე არ მიჰყავდათ დაწყებული საქმე.

პარტბიუროს მდივანი შ. მურღულია ჯეროვნად არ მოემზადა ანგარიშისათვის. ამიტომ საანგარიშო მოხსენება უფერული გამოდგა, მასში გაშუქებული არ იყო პარტიული სწავლების საკითხები. და ეს მაშინ, როცა ეს საქმე აქ სუსტად არის დაყენებული.

კომუნისტმა ი. გაგუამ განაცხადა, რომ პარტბიუროო არადამაკმაყოფილებლად მუშაობს უპარტიო აქტივთან, სუსტად ხელმძღვანელობს კომკავშირულ ორგანიზაციას.

კრებაზე კრიტიკით გამოვიდა კომუნისტი გ. ჩიხლაძე. მან აღნიშნა, რომ პარტბიუროო ნაკლებად ზრუნავდა კომუნისტთა პოლიტიკური აღზრდისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, სამწუხაროდ, არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა. ხოლო ამ დარგში აქ ყველაფერი რიგზე არ არის. სრულებით არ ყოფილა გაკრიტიკებული პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და მისი განყოფილებები, რომლებიც სათანადოდ არ ეხმარებიან და არ ხელმძღვანელობენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

ი. ბუხაიძე.

კომუნისტების მაღალი აქტივობა

სერიოზულ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი სოციალისტური მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის. მაგრამ ინსტიტუტის მუშაობაში ჯერ კიდევ საგრძნობი ნაკლოვანებებია. სწორედ ამ ნაკლოვანებებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე გაბედულად ილაპარაკეს კომუნისტებმა პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

თავის საანგარიშო მოხსენებაში ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. გონაშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ინსტიტუტის ამოცანებზე მეცხოველეობის განვითარების საქმეში. მოხსენებაში საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი მეცნიერ მუშაკთა და თანამშრომელთა პოლიტიკური განთლების საქმეს. ამხ. გონაშვილმა გააკრიტიკა ინსტიტუტის დირექცია, რომელიც ხშირად უყურადღებოდ ტოვებს პარტიული კრების მიერ მიღებულ ღონისძიებებს, ზომებს არ იღებს მათი შესრულებისათვის. მაგალითად, დღემდე არ მოგვარდა ინსტიტუტის შრომების კრებულის გამოცემის საქმე. პარტიულმა ორგანიზაციამ დირექციის წინაშე დროულად დააყენა საკითხი უდაბნოში არსებული საცდელი ნაკვეთის დაცვის შესახებ, მაგრამ ამ მხრივ აქამდე არაფერია გაკეთებული. პარტორგანიზაციის კრებებზე კარგი დადგენილებანი იქნა მიღებული აგრეთვე სამეცნიერო საბჭოს მუშაობის უკეთ მოწყობის, ცალკეული ვანყოფილებებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში, მაგრამ არცერთი ამ დადგენილებათაგანი შესრულებული არ არის.

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში ნ. მელითაურმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ინსტიტუტში სათანადო სიმაღლეზე არა დგას საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ამ მხრივ პარტბიუროს ნაკლებ ხელმძღვანელობას უწევს პარტიის ორჯონიკიძის რაიკომი. რაიკომი ინსტიტუტის აგიტატორებს არ იწვევს თათბირებზე, არ აწყობს მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების გაზიარებას.

— ცუდი საბინაო პირობების გამო, — თქვა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. ლ. ბოდოკიამ, — ინსტიტუტს უძნელდება ნორმალური მუშაობა. ამავე დროს კი შენობის აგება, რომელსაც 1950 წლიდან აშენებს „ოფლმშენი“, დაუშვებლად ჭიანურდება.

კრებაზე გაამახვილეს ყურადღება ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების, მათი დაოსტატების საკითხებზე. როგორც უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა ამხ. ჯ. გუგუშვილმა აღნიშნა, ამ მხრივ ბევრი ნაკლოვანება აქვს როგორც პარტბიუროს, ისე ინსტიტუტის დირექციას. ვან დასახელა ამხ. მაწყეპლაძის მაგალითი, რომელსაც დირექცია ნაკლებ დახმარებას უწევს სადისერტაციო თემის გაფორმებაში.

კრებაზე განსაკუთრებით აღინიშნა, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი არავითარ დახმარებას არ უწევდა ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას.

კომუნისტებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა გამო, რომლებიც მიმართულია მუშაობის იმ მანკიერი სტილის ლიკვიდაციისაკენ, რომელსაც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ნერგავდნენ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ყოფილი მდივნები ა. მგელაძე და ვ. ბალავაძე.

მ. ვარდოსანიძე.

ლექციები, მოხსენებები და საუბრები ი. ბ. სტალინის შრომის შესახებ

მახარაძე, 25 აპრილი. (საქდესი). რაიონის მშრომელები დიდი ინტერესით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის მასალებს და ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. რაიონის კლუბებში მოეწყო 90-ზე მეტი ლექცია ამ ისტორიული დოკუმენტების შესახებ. სოფლების ქვედა ბახვისა და ნასაკირალის კოლმეურნეებში დიდი ინტერესი გამოიწვია ლექციებმა თემებზე „ი. ბ. სტალინი ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის შესახებ“, „ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ძირითადი წინაპირობების შესახებ“.

მახარაძის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „ი. ბ. სტალინი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის შესახებ“, „ი. ბ. სტალინი ღირებულების კანონის შესახებ“ და სხვ.

* * *

საჩხერე, 25 აპრილი. (საქდესი). რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები სერიოზულ მუშაობას ეწევიან დიდი სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და პარტიის XIX ყრილობის მასალების პროპაგანდისათვის. კლუბებში, ბიბლიოთეკებსა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სისტემატურად ტარდება ლექცია-მოხსენებები და საუბრები, მოწყობილია გამოფენები. რაიონის მშრომელებმა უკვე მოისმინეს 70 ლექცია ამ ისტორიული დოკუმენტების შესახებ.

შეჯიბრებაში გამარჯვებული რკინიგზის საწარმოთა კოლექტივები

მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის — 1953 წლის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მარტში მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტმა და ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ გამარჯვებულად აღიარეს:

ფოთის რკინიგზის სადგურის (უფროსი ამხ. კაჭარავა) კოლექტივი, რომელმაც მარტში ვაგონების დატვირთვის გეგმა შეასრულა 106 პროცენტით, გადმოტვირთვისა — 104 პროცენტით და ვაგონების მოცდენის დრო შეამცირა 12 პროცენტით;

თბილისის სატვირთო სადგურის (უფროსი ამხ. გზირიშვილი) კოლექტივი, რომელმაც დატვირთვის გეგმა შეასრულა 126 პროცენტით და გადმოტვირთვისა—120 პროცენტით.

შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ აგრეთვე სუხუმის სადგურის (უფროსი ამხ. ბარამია), სუხუმის საორთქლმავლო დეპოს (უფროსი ამხ. შარტავა), ენერგომომარაგების ხაშურის უბნის (უფროსი ამხ. თავაძე), თბილისის სამგზავრო-სავაგონო უბნის (უფროსი ამხ. მორჩაძე), ნავთლუღის სალიანდაგო დისტანციის (უფროსი ამხ. ვაშაკიძე), გურჯაანის სალიანდაგო დისტანციის (უფროსი ამხ. სეხნიაშვილი), ნაგებობათა ხაშურის დისტანციის (უფროსი ამხ. რუხაძე), გორის სადგურის (უფროსი ამხ. კარიჭაშვილი), რკინიგზის უწყების საავეჯო ფაბრიკის (უფროსი ამხ. ადამაშვილი), ვაგონთა ტექნიკური შემოწმების ნავთლუღის პუნქტის (უფროსი ამხ. ბახტაძე) და გუდაუთის სატყეო-სადედეს უფროსი ამხ. შავგენოვი) კოლექტივები.

მეორე ადგილზე გამოვიდნენ სადგურ ნავთლუღ-პირველის, თბილისის სამგზავრო-სავაგონო დეპოს, ბორჯომის სალიანდაგო დისტანციის, სუხუმის ნაგებობათა დისტანციის, ზესტაფონის სადგურისა და ბათუმის გამცილებელთა რეზერვის კოლექტივები.

მესამე ადგილი მიეკუთვნათ სამტრედიის სავაგონო უბნის, ნაგებობათა თბილისის დისტანციისა და სადგურ რიონის რკინიგზელთა კოლექტივებს.

პირველ მაისის შესაბამისად ნავთლუღელ რკინიგზელთა წარმატებები

რკინიგზის მოწინავე საწარმოთა რიგებში მტკიცედ დგება ნავთლუღის სადგურის მრავალრიცხოვანი კოლექტივი. მან სოციალისტური შეჯიბრების მარტის შედეგების მიხედვით ამიერკავკასიის რკინიგზაზე მეორე ადგილი დაიკავა.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების თვითეულ დღეს ახალი და ახალი წარმატებები მოაქვს. აპრილის ოცი დღის მაჩვენებლები მოწმობს, რომ ნავთლუღელი რკინიგზელები მაღალი ტემპით განაგრძობენ მუშაობას. მათ პირნათლად შეასრულეს დატვირთვის ორი დეკადის გეგმა, ხოლო გადმოტვირთვის სამუშაოები გადაჭარბებით გაანადღეს.

მიმდინარე წლის იანვრიდან ცვლებს შორის პირველ ადგილს მტკიცედ ინარჩუნებს და გარდამავალ წითელ დროშას ფლობს პირველი ცვლა, რომლის სამანევრო დისპეტჩერია ს. ავეტისიანი, ხოლო სადგურის მორიგე — ვ. გრიგორიანი. ცვლის კოლექტივი უწუნოდ და უაკვარიოდ მუშაობს.

ამ ცვლამ გასულ თვეში ადგილობრივი ვაგონების მოცდენა სამ საათზე მეტით შეამცირა, ხოლო სატრანზიტო ვაგონებისა — სამი საათითა და 30 წუთით. ამავე დროს მიაღწია 37 ათასზე მეტი ვაგონ-საათის ეკონომიას. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიღწევებია ძოპოვებული აპრილში — 20 რიცხვისათვის საგრძნობლად შემცირდა ვაგონების მოცდენა, განსაკუთრებით დიდია ვაგონ-საათების ეკონომია — 41 ათასი ვაგონ-საათი.

ცვლამ წარმატებას მიაღწია შემდგენლების — ი. კვაჭაძის და კ. სიხარულიძის, გადამბმელ გ. მახარაშვილის, უფროს მეისრე ვ. ხმალაძის და სხვების თავდადებული შრომით.

ბათუმის საწარმოებში

ბათუმი, (საკ. კორ.). ბათუმის საწარმოებში, ტრანსპორტზე და ახალშენებლობებზე დღითიდღე ძლიერდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ტემპი, ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის ბრძოლა.

მომთუთიებელ ქარხანაში მუშები მასობრივად დადგნენ საპირველმაისო ვახტზე და წარმატებით იბრძვიან თვიური გეგმის ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად. შესანიშნავი მაჩვენებლები აქვთ მტვიფრავ ფ. ჯღარაგას, ამწყობებს — ტ. კაკაძეს, დ. ნაგერავაძეს და მ. გოგმაჩაძეს, აგრეთვე მომთუთიებელთა იმ ბრიგადას, რომელსაც ი. კირბაბინი ხელმძღვანელობს.

საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა კაგანოვიჩის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც გასულ წელს ცუდად მუშაობდა და ათასობით წყვილი ფეხსაცმელი დააკლო სახელმწიფოს.

მეფეხსაცმელეებმა იკისრეს 1 მაისისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან იმდენი პროდუქცია, რომ მომდინარე წლის პირველი თვეების ჩამორჩენა დაფარონ. ამ დაპირების გასანაღდებლად მუშაობაში თავი ისახელეს სტახანოველმა გამომჭრელმა ა. ოვანესიანმა, გამამზადებელმა ვ. ანდრიუშინამ, სტახანოველებმა — ვ. ხუჭუამ და ტ. შპარკომ. აპრილის პირველი დეკადის დავალება ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა.

საპირველმაისო ვახტზე დგანან მენავთობეებიც. ათი დღით ადრე შეასრულა გასული კვარტალის დავალება ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მეოთხე საამქრომ, სადაც განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს ის დანადგარი, რომელსაც საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი გ. დარჩია ხელმძღვანელობს.

ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნავენ საპირველმაისოდ მზადების დღეებს აგრეთვე ბათუმის ნავსადგურის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები.

მეჯი სპილენძი სამშობლოს

თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის კოლექტივმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი საწარმოო წარმატებები მოიპოვა. პირველი კვარტალის გეგმა ვადაზე ადრე საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ათასი მანეთის პროდუქცია მისცა სამშობლოს და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,4 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

სპილენძმგლინავები წარმატებით განაგრძობენ მუშაობას აპრილშიც. თვის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება-გადაჭარბებით აქვთ შესრულებული და ახლა იბრძვიან აპრილის გეგმის ვადამდე განაღდებისათვის.

აპრილში დაშინაურდა მგლინავთა ის ბრიგადა, რომელსაც ნ. შომახია ხელმძღვანელობს. საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან მგლინავები — მ. სეფიაშვილი, ნ. რუხაძე, ა. რაზგოვი და მ. დავითაშვილი. 130-160 პროცენტით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს მდნობელები ვ. ბენდიანიშვილი და ვ. მუედლიშვილი.

სადღეისო თემაზე

მზრუნველობა — ნარგავებს

თბილისსა და მის მიდამოებში ყოველწლიურად ასეულათასობით ძირი ხე და ბუჩქი ირგვება, შეუნელებელი ტემპით გრძელდება დედაქალაქის ირგვლივ მთებისა და სერების გამწვანება, ახალი პარკების გაშენება, ნორჩი ტყის მასივების შექმნა. მარტო წელს ერთ დღეში (28 მარტს — „ტყის დღეს") თბილისში და მის ახლო მიდამოებში დაირგო 200 ათასზე მეტი ძირი მცენარე.

მრავალი წლის განმავლობაში ასეთი მუშაობის შედეგად თბილისი შესამჩნევად გამდიდრდა მწვანე სამოსელით, რამაც ახალი ელფერი შესძინა ქალაქს, გაამშვენიერა მისი საერთო ხედი, გააჯანსაღა ჰაერი. ამას თბილისის მშრომელები უმადლიან ლენინის საუკეთესო მოწაფეს და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ყოველივე ის ახალი და კარგი, რითაც ამაყობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები.

მაგრამ საკმარისი როლია მარტო ხეებისა და ბუჩქების დარგვა. მთავარია მაში სათანადოდ მოვლა, დაცვა, თვითეული ნერგის გახარება და შენარჩუნება. სამწუხაროდ, ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. დედაქალაქის ისეთ ცენტრალურ ქუჩებზეც კი, როგორიც არის ბარნოვის ქუჩა, პლეხანოვის პროსპექტი, ბრძოლის, ხაბეჩოს და მთელი რიგი სხვა ქუჩები, მრავალი გამხმარა და მოტეხილი მცენარეა. მარტო ბარნოვის ქუჩაზე ოცზე მეტი ხე გაფუჭდა და გახმა. ზოგან ნარგავები მოტეხილი ან მოთხრილია, ტოტები — დამტვრეული. ხშირად ქუჩებში ბურთის თამაშისას ბავშვები აზიანებენ მცენარეებს, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ქალაქების სკოლებში მოაწყეს მოსწავლეებისაგან შემდგარი „ტყის მეგობარი" რაზმები, რომლებსაც გამოუყვეს საშეფო ქუჩები, სადაც ეს მოსწავლეები ცხოვრობენ და სადაც მათ მიანდეს მცენარეთა დაცვისათვის თვალყურის დევნება. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. თბილისში კი ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა.

ქალაქის მთელი რიგი ორგანიზაციები ხშირად ქუჩებში მიწის სამუშაოთა შესრულებისას (წყალსადენის ტრესტი, საგზაო მშენებლობის სამმართველო, თელასი და ა. შ.) მცენარეთა დაცვას ყურადღებას არ აქცევენ. ხშირად თბილისს ქუჩებში თხრიან მიწას წყალსადენის მილების ჩასაწყობად ან გამოსაცვლელად. ასეთ სამუშაოთა დროს მცენარეთა ფესვებს აზიანებენ, ნარგავებს აფუჭებენ, თუმცა საესებით შესაძლებელია ამის თავიდან აცილება. ასევე უნდა ითქვას სხვა სამშენებლო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც არ უფრთხილდებიან ნარგავებს, ხარაჩოების აყენების დროს ტეხენ, ჭრიან, აფუჭებენ მათ, როცა შეიძლება ყოველივე ამის თავიდან აცილება.

საჭიროა მწვანე ნარგავთა მშენებლობის შემდგომ გაძლიერებასთან ერთად მეტი ყურადღება მიექცეს არსებული ნარგავების მოვლა-დაცვას და ამ საქმეში მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმას. თბილისის გამწვანების ტრესტის მუშაკებისათვის ამ მხრივ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სკოლებსა და სახლმმართველებს. ყოველ ეზოში უნდა შეიქმნას მოსწავლე ბავშვთა საშეფო ბრიგადები და მიენდოს მათ ეზოში და ქუჩის გარეგნულ მონაკვეთზე მწვანე ნარგავთათვის მეთვალყურეობის გაწევა.

კოლმეურნეობის საფუტკრეში

ლენინგორი. („კომუნისტის" საკ. კორ.). სოფელ ლენინგორის კოლმეურნეობა „ოქტომბერში" უკანასკნელ წლებში ფართოდ მოკიდეს ხელი მეფუტკრეობას. ამ საქმეს სათავეში უდგას მეფუტკრე არ. ოვაშელი. მისი მზრუნველობით კოლმეურნეობაში ფუტკრის ოჯახების რაოდენობა ერთისამად და უფრო მეტად გაიზარდა.

მეფუტკრეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 70-ით გაზარდონ და 290-მდე აიყვანონ.

მეფუტკრეთა ვალდებულებაა ფუტკრის ოჯახების რიცხობრივ ზრდასთან ერთად გაადიდონ თაფლის გამოსავლიანობა. საფუტკრე ახალ, უფრო ხელსაყრელ ადგილზე გადაიტანეს.

გაზეთების ფურცლებზე

ზაპოროჟიელ და ზესტაფონელ მეტალურგთა შეჯიბრება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით სსრ კავშირის განვითარების 1951 — 1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია მეტი და მაღალხარისხიანი სპეციალური ფოლადის გამოდნობა. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა ხუთწლედის ბოლოსათვის ფეროშენადნობთა წარმოება საგრძნობლად უნდა გაადიდოს 1950 წელთან შედარებით. ზესტაფონელი მეტალურგები წლების მანძილზე სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივთან. ორივე ქარხნის კოლექტივებმა წელს კვლავ განაახლეს სოციალისტური შეჯიბრება.

ზესტაფონის რაიონულმა გაზეთმა „ლენინელმა" ამ ორი ქარხნის კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების განახლებას სპეციალური გვერდი მიუძღვნა. გაზეთი წერს:

„... გასულ თვეში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ჩამოვიდა უკრაინელ მეტალურგთა დელეგაცია. სტუმრები გაეცნენ ქარხნის მუშაობას, შეამოწმეს გასული წლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები.

ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანამ გასული წლის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა ათასობით ფეროშენადნობი. მაშინველოვანი ოსტატობით დაზოგა ელექტროენერგია. მუხედავად ამ წარმატებისა, ქარხანაში მაინც იყო სერიოზული ნაკლოვანებანი — ნედლეულის გადახარჯვა, საწარმოო დისციპლინის დარღვევა. არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს ქარხნის საწარმოო დანიშნულების შენობების და საცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

როგორც უკრაინელ მეტალურგთა დელეგაციის მეთაურმა, ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ფ. ზავადამ განაცხადა, ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხანა გასული წლის მაჩვენებლების მიხედვით ზოგიერთი სამუშაოს შესრულებაში ჩამორჩა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. მაგრამ ქარხნის კოლექტივი წელს ბევრად უკეთესად მუშაობს გიდრე შარშან. ახლა გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით სრულდება..."

შემდეგ გაზეთი ბეჭდავს ზესტაფონისა და ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნების კოლექტივების მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ კონკრეტულ ვალდებულებებს.

შეჯიბრება გაჩაღდა ცალკეულ მეტალურგთა შორის. მაგალითად, შეჯიბრება განაახლეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადის ბრიგადირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. ფერაძემ და ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადის ბრიგადირმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ნ. კრასნოკუტსკიმ. შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე ორივე ქარხნის მდნობელთა ბრიგადირები ვ. ბელოუსოვი და ი. აბესაძე.

მეთამბაქოეთა პატრიოტული თაოსნობა

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" კოლმეურნეებმა სახელი გაითქვეს თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებით. ამ კოლმეურნეობამ სამშობლოს აღუზარდა მრავალი სოციალისტური შრომის გმირი — თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატები. ზუსტად ახორციელებენ რა საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს და იყენებენ რა ხანგრძლივი მუშაობით შეძენილ ძვირფას გამოცდილებას, აქაური კოლმეურნეები დიდ წარმატებებს აღწევენ. როგორც ლაგოდეხის რაიონული გაზეთი „გამარჯვების დროშა" წერს, შარშან კოლმეურნეობამ 90 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საწარმოო გეგმით გათვალისწინებული 21 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარა 23,47 ცენტნერი ხარისხოვანი თამბაქო. ჩაბარებული თამბაქოს მნიშვნელოვანი ნაწილი პირველი და მეორე ხარისხისა იყო. მეექვსე ბრიგადის პირველი რგოლის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა მ. ხარებაშვილმა რგოლის 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 28,8 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა. მეთამბაქოობაში მაღალ შრომითს მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე ა. მაჭარაშვილის ბრიგადამ და თ. გელაშვილის რგოლმა. მათ ჰექტარზე მიიღეს 26,4 ცენტნერი თამბაქო.

„შრომელმა მეთამბაქოეებმა, — წერს გაზეთი, — მოწოდებით მიმართეს რაიონის კოლმეურნეებს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წელს სახელმწიფოსათვის თამბაქოს უხვი და მაღალხარისხოვანი ნედლეულის ჩასაბარებლად და ვალდებულება იკისრეს 135 ჰექტარი ფართობიდან 80 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ საშუალოდ 30 ცენტნერი თამბაქო, ხოლო 55 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 26 ცენტნერი..."

სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" კოლმეურნეთა მიმართვამ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია რაიონის კოლმეურნეთა შორის. კოლმეურნეები თავიანთ კრებებზე განიხილავენ ამ პატრიოტულ მოწოდებას, ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და კისრულობენ ახალ გაღიდებულ ვალდებულებებს 1953 წელს უხვი და მაღალხარისხოვანი თამბაქოს მოყვანისათვის.

მიჩურინელი გიორგი თაქთაქიშვილი

ბორჯომი. (საქდელი). რაიონში კარგად იცნობენ სოფელ რველის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მცდელ-მიჩურინელს გ. თაქთაქიშვილს. მას გამოყვანილი აქვს ხილისა და ბოსტნეულის მთელი რიგი ახალი ჯიშები.

წინათ სოფელ რველში ხეხილის არცერთი ხე არ იდგა, ამყამად აქ ბევრი ხეხილის წარგავებია. თვით თაქთაქიშვილის ბაღში მრავალნაირი სახის ვაშლის, მსხლის, ატმის, ბლისა და ქლიავის ჯიშების ხეხილია გამენებული, რომელიც განთქმულია თავისი უხვი და მყარი მოსავლიანობით.

მიჩურინელი გ. თაქთაქიშვილი თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს კოლმეურნეებს, რაონის მაღალმთიან სოფელ ციხისჯვარში ბევრია გ. თაქთაქიშვილის მიერ გამოყვანილი და მთის პირობებთან შეგუებული ახალი ჯიშის ხეხილი.

მუხედავად ხანდაზმულობისა, გ. თაქთაქიშვილი ენერგიულად განაგრძობს მუშაობას ხეხილის ახალი, ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანაზე. იგი კოლმეურნეობებში ხშირად აკეთებს მოხსენებებს მიჩურინული მეთოდების დანერგვის, ხეხილის ბაღის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისა და ხეხილის უხვი მოსავლის მიღების ღონისძიებათა შესახებ.

ამერიკაკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში. ნ ურათაზე: „ხელმარჯვეთა წრის" მუშაობა.

ფოტო გ. ზარიძისა.

ნორჩ რკინიგზელთა სახლი

არც ისე დიდი ხანია, რაც თბილისში, პლეხანოვის პროსპექტზე, მუშაობა დაიწყო ამერიკაკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლმა, მაგრამ იგი უკვე ბავშვების საყვარელი ადგილი გახდა.

სახლის 116 სხვადასხვა წრეში გაერთიანებულია 2.000 მოსწავლე. სასკოლო მუშაობის შემდეგ აქ ყოველდღიურად ხალისით მოდიან რკინიგზის სკოლების მოსწავლეები. ზოგი ჩაბმულია ტექნიკურ წრეებში, ზოგი ბიბლიოთეკაში წიგნებს კითხულობს, ზოგი მუსიკას სწავლობს, ზოგი ცეკვას. აქ ხშირად აწყობენ ლექციებს ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ლექტორები.

საინტერესო მუშაობას ეწევა ფიზიკის წრე. მოსწავლეები აქ თვითონ ამზადებენ ფიზიკურ ხელსაწყოებს, კითხულობენ რეფერატებს გამოჩენილ ფიზიკოსთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის, თანამედროვე ფიზიკის განვითარების შესახებ.

ხელმარჯვეთა წრის მოსწავლეებმა დამშადიეს ძვირფასი საუქრები კომუნიზმის დიადი მშენებლობისათვის. კარგი საჩუქრები გამოუგზავნეს ბათუმის, ბორჯომის, სამტრედიის, ცხაკაიას, ხაშურის რკინიგზის სკოლების მოსწავლეებმა.

გაზაფხულის დადგომისთანავე ნორჩმა მიჩურინელებმა მუშაობა გაიჩაღეს თავიანთ მიწის ნაკვეთზე. ბავშვები მზრუნველობით, სიყვარულით უვლიან ნარგავებს. მეფეხსახეობის წრის წევრებმა 100 კვადრატულ მეტრ ფართობზე გაიშენეს ვაზი, მეხილეებმა დარგეს სხვადასხვა ჯიშის ხეხილი. უკვე დათესილი აქვთ ბოსტნის კულტურები.

საინტერესოდ მუშაობენ ლიტერატურისა და ისტორიის შემსწავლელთა წრეები. ამას წინათ ლიტერატურის წრემ მოაწყო მეოთხე სასწავლო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის რკინიგზის სკოლების მოსწავლეებმა.

კარგად მუშაობენ მომეცერალთა გუნდი, ქორეოგრაფიული წრე, რუსული და ქართული დრამატული წრეები, აგრეთვე ფერწერისა და ძერწვა-ქანდაკების წრის წევრები, რომლებიც ემზადებიან გამოფენისათვის.

ფიზკულტურული წრეები სისტემატურად მონაწილეობენ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ამერიკაკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლი საუკეთესო საჩუქარია ჩვენი რესპუბლიკის რკინიგზელთა ბავშვებისათვის.

ლ. ხუბულური.

ფელეტონი

ვის ეკუთვნის სოფელი საცხენისი?

კაცმა გულახდილად რომ თქვას, მეტად უცნაური კითხვაა. ჩვენი მკითხველიც ალბათ იმას გვეტყვის, თუ არ იცით, სად მდებარეობს ან რომელ რაიონშია სოფელი საცხენისი, რას გვაწუხებთ, კეთილი ინებეთ და გადაშალეთ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი, — ყველაფერი ნათელი იქნებაო.

სადავო არაფერი გვაქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს დროში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც აღნიშნული ცნობარის გადაფურცვლაც კი ეზარებათ, ფაქტის წინაშე თვალს ხუჭავენ, დამნაშავეთა მიმართ წაყრუების გზას ადგებიან... კი, მაგრამ ეს სოფელი რა შუაშიაო, გვეტყვით. თავი რომ არ შეგაწყინოთ, გიპასუხებთ.

ჯერ კიდევ 1951 წლის 12 იელისს სამგორის ერთერთმა სამმართველომ, სადაც უფროსად მუშაობს ამხ. ვარაზაშვილი, სოფელ საცხენისიდან თბილისის გარეუბნის რაიონის პროკურორს სასწრაფო მიმართვა გაუგზავნა: „ამბარის ხევში სამშენებლო უბნის კომენდანტმა ვასილ ივანეს-ძე მოსინმა 96.240 მანეთი გაფლანგა და მიიმალა. გთხოვთ მიიღოთ გადამჭრელი ზომები".

პროკურორმა ქაღალდს ალმაცერად დახედა, წარბები შეიჭმუხნა, მაგიდას ხელი დაჰკრა:

— როგორ თუ დამნაშავე გაიქცა! მისი გზა ყოველთვის მოკლეა, სად წაგვიყვა?..

პროკურორმა „სასწრაფოდ" და „ოპერატიულად", — თხუთმეტი დღის შემდეგ გადაიკითხა გამფლანგველის მთელი საქმე, აწონ-დაწონა და № 326 მიმართვის საფუძველზე დამნაშავის შესახებ არსებული მასალები საგარეჯოს რაიონის პროკურორს გადაუგზავნა წარწერით, — ვინაიდან სოფელი საცხენისი ტერიტორიულად თქვენ გეკუთვნით, საჭიროა ზომებიც თქვენვე მიიღოთო.

როგორც იქნა, საგარეჯოს რაიპროკურატურამ დაიწყო საქმის „ძირფესვიანი" შესწავლა. პროკურორმა ამხ. გოგლიძემ დამატებითი მასალები მოითხოვა.

რა გაიწყობოდა, 1952 წლის 31 მარტს ამხ. ვარაზაშვილმა საგარეჯოს რაიპროკურატურას დამატებით აცნობა, ბოროტმოქმედი ვ. მოსინი 1950 წლის 22 იელისს ისე წავიდა, რომ არც კი „გამოგვემშვიდობაო". ამ პასუხით განრისხებულმა პროკურორმა ტელეფონის ყურმილი აიღო:

— მერე და სად იყავით აქამდე, ამხანაგო ვარაზაშვილო, რატომ არ აცნობეთ ყოველივე ეს საგამომძიებლო ორგანოებს? რა უნდა ეწოდოს ასეთ უდარდელობას?

— მხოლოდ და მხოლოდ დოყლაპიობა, — შემოეესმა ამხ. ვარაზაშვილის წყნარი პასუხი.

— მართალი ხარ, კარგია, როდესაც კაცი თავის შეცდომას გრძნობს.

— მე კი არა, — ტელეფონის ყურმილში ახლა უკვე ხმამაღლა გაისმა, — დოყლაპია და ლენინა ის არის, ვისაც პირველად ვაცნობე გამფლანგველის დანაშაული, მან კი ზომები არ მიიღო!

— ვინ არის ეგ, ვინ? — განრისხებით შეეკითხა პროკურორი.

— პროკურატურის მუშაკები, — შემოესმა.

— ჰოო, მე კი მეგონა, — და შეგებით ამოისუნთქა. პროკურორმა პირობა მისცა, რომ დამნაშავის საქმეს უახლოეს დღეებში ბნის სინათლეზე გამოიტანდა. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

ამდენეულ წყალში თევზის ჭერა ადვილია, გაიგო გულში პროკურატურის უქნარა მუშაკთა მოქმედებით გათამამებულმა მუხროვანის სამშენებლო უბნის კომენდანტმა ვასილ ბეკაშვილმა, რამდენიმე ათასი მანეთი მიითვისა და მიიმალა.

ამხ. ვარაზაშვილმა პროკურორს აცნობა, რომ საგამომძიებლო ორგანოების ჩაურევლობის შედეგად ბოროტმოქმედ მოსინის შემცველმა სამშენებლო უბნის ახალმა კომენდანტმა მუხრან ჭინჭარაძემ რამდენიმე ათასი მანეთი გაიტაცა...

პროკურორი ფეხზე წამოიჭრა:

— რაო? რას ჰგავს ეს? პირველი დამნაშავე რომ დაგეჭირათ, სხვა ხომ ვეღარ გაბედავდა ასეთ თავხედობას. — ეს სიტყვები ისე თქვა პროკურორმა, რომ სირცხვილისაგან არც კი გაწითლებულა. მან ო

ლი გამოსავალი ნახა: დამნაშავეთა მთელი საქმე კვლავ ამხ. ვარაზაშვილს გადაუგზავნა „დამატებით გასაფორმებლად", დიდი თავი გაჭეს და იტირეო, თან დასძინა: ვინაიდან და რადგანაც სოფელი საცხენისი ჩვენს სამოქმედო რაიონში არ შედის, საჭიროდ მიმაჩნია შემდეგში კვლევა-ძიება თბილისის გარეუბნის რაიპროკურატურამ (ყოფილი პროკურორი ამხ. მამუჩაშვილი) აწარმოოს.

ატყდა კვლავ ტელეფონების დაუსრულებელი წკრიალი...

მალე საგარეჯოელმა და გარეუბნელმა პროკურორებმა გადაწყვიტეს „სახათაბალო" საქმის თავიდან მოშორება. და, ბოროტმოქმედთა საქმე თბილისის მილიციის 21-ე განყოფილების უფროსის ამხ. ხიდიშელის მაგიდაზე აღმოჩნდა, იქიდან კი ქალაქის პროკურატურაში ამოყო თავი...

საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები დაუსრულებლად ბეჭობენ: ვის ეკუთვნის სოფელი საცხენისი? ამხ. ვარაზაშვილს მოთმინების ფიალა ეევსო, საქართველოს სსრ პროკურორს გაუგზავნა სპეციალური მიმართვა, გთხოვთ განგეიმარტოთ, ვინ, რომელი რაიონის პროკურატურამ უნდა შეისწავლოს ჩადენილ ბოროტმოქმედებათა საქმე?

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა ამხ. ფხაკაძემ ამ საყურადღებო სიგნალისადმი „გულისხმიერება" გამოიჩინა და ამხ. ვარაზაშვილს ასეთი მიმართვა გაუგზავნა: „დამნაშავეთა საქმე გადაუგზავნეთ იმ პროკურორს, რომლის ტერიტორიაზეც ჩადენილია დანაშაული".

საქმე იქამდე მივიდა, რომ საგამომძიებლო ორგანოების მუშაკებმა ასეთი სიმღერაც კი გამოთქვეს:

ვისია და ვისი
სოფელ საცხენისი...

ბიუროკრატული ჭაობის, ქაღალდების კორიანტელს იქით დამნაშავეები ვ. ბეკაშვილი და მ. ჭინჭარაძე ახლაც უდარდელად მოღვაწეობენ საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალაში... ცხადია, მთავარი ბოროტმოქმედი საცხენისელი მოსინიც კმაყოფილია თავისი ბედით.

ყოველივე ამის შემდეგ რა უნდა ვუწოდოთ პროკურატურის ზოგიერთი მუშაკის ასეთ მოქმედებას?

კ. ბოცვერელი,
გ. მიხაილოვი.

იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვანი უბანი

მასების კომუნისტური აღზრდის საქმეში თვალსაჩინო როლი ენიჭება მხატვრულ ლიტერატურას და ლიტერატურულ კრიტიკას. მწერლები, რომლებსაც ხალხთა ბელადმა და მასწავლებელმა სტალინმა ადამიანის სულის ინჟინრები უწოდა, — მოწოდებული არიან მხატვრული სახეებით გვიჩვენონ კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა საქმიანობა, საბჭოთა საზოგადოების მჩქეფარე, მრავალფეროვანი, საამური და ბედნიერი ცხოვრება, გვიჩვენონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლის მთელი სიდიადე. ამ საპატიო ამოცანების შესრულებისათვის იბრძვიან ოსი საბჭოთა მწერლებიც. უკანასკნელ ხანებში გამოვიდა იდეურად გამართული, აქტუალურ თემებზე დაწერილი რამდენიმე ნაწარმოები. ამ მხრივ აღსანიშნავია რ. ასაევის ლექსების ახალი კრებული „საქართველოს ცის ქვეშ ვმღერი" და პოემა „სისხლის წვეთი", გაფეზის „ამინათი", დ. ჯიოევის „ილიკო", ა. მამისთვალოვის „ლექსები" და სხვ.

საყურადღებოა საქართველოს სახელგამის მიერ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიის გამოცემა ქართულ ენაზე 1952 წელს, რაც თვალსაჩინო მოვლენაა ოსური ლიტერატურულ ცხოვრებაში.

სამხრეთ ოსეთში მომუშავე მწერლებს მეტი წარმატება ექნებოდათ, საქართველოს საბჭოთა მწერლების სამხრეთ ოსეთის განყოფილება, მისი ორგანოს „ფიდიოგის" (ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი) რედაქცია და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა ყოველდღიურად რომ ზრუნავდნენ მწერლების შემოქმედებითი აღმავლობისათვის.

ჟურნალმა „ფიდიოგმა" 1952 წელს დაბეჭდა ე. ალბეკოვას უიდეო და აპოლიტიკური მოთხრობები „თეთრი ქალი" და „გორი". პირველი ნაწარმოები, რომელიც ჟურნალის ექვს გვერდზეა დაბეჭდილი, მოიცავს პერიოდს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინადღიდან დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე. ცხადია, ასეთი დიდი პერიოდის ასახვა ექვს ნაბეჭდ გვერდზე კონსპექტის სახითაც კი წარმოუდგენელია. ზერელე გამოთქმებით და უაზრო წინადადებებით არის სავსე მეორე მოთხრობა „გორი".

პოლიტიკური სიბეცის შედეგია, რომ გ. მამიევმა ერთ-ერთ ნაწარმოებში „გამოცდები" ქება-დიდება შეასხა სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექციას და პარტორგანიზაციას, ვითომდაც ისინი საუკეთესოდ მუშაობდნენ სტუდენტი ახალგაზრდობის იდეური აღზრდისათვის, მაშინ როცა ცნობილია, რომ სტალინირის სახელმწიფო პედინსტიტუტში, გ. მამიევის მიერ აღწერილ პერიოდში, იდეოლოგიური მუშაობის ჩაშლის შედეგად სტუდენტების ერთ ნაწილში ადგილი ჰქონდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებას.

სქემატურობა და ფაქტების უბრალო რეგისტრირება ახასიათებს ნიგას პროზულ ნაწარმოებებს. ნიგას საერთოდ შეუძლია წეროს აქტუალურ და სასარგებლო თემებზე, მაგრამ იგი უპასუხისმგებლოდ ეკიდება საბჭოთა მწერლის მოვალეობას, არ ცდილობს ერთხელ დაწერილის გადამუშავებას და დახვეწას, მკითხველს სთავაზობს ხალტურულ ნაწარმოებებს. ასეთებია, მაგალითად, „ზარეთა" და „ჯავა". მოთხრობა „ჯავაში" ნიგა შეეცადა გაეშუქებინა უამრავი საკითხი — ჯავის კურორტი, მთის ბუნების პეიზაჟი, კოლმეურნეთა კრება, სკოლების მუშაობის მეთოდები, მთიელი ქალების ცხოვრება, კოსტა ხეთაგუროვის პოეზია, დიდი სამამულო ომი, მშვიდობისათვის ბრძოლა... ყოველივე ამას უკავია ჟურნალ „ფიდიოგის" 4 ნაბეჭდი გვერდი. გასაგებია, თუ რა მხატვრული ნაწარმოები იქნება ეს.

ნაკლები ნაყოფიერებით მუშაობენ ჩვენი ოლქის პროზაიკოსები. პროზა — დღემდე ლიტერატურის ეს ჩამორჩენილი უბანი — უნდა ავიყვანოთ ახალ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე.

ძალიან ჩამორჩა დრამატურგიაც. ჩვენს დრამატურგებს (ვ. სანაკოევი, ს. გაზაევი, მ. გუჩმაზოვი) დღემდე არ შეუქმნიათ თვალსაჩინო დრამატული ნაწარმოებანი, რომლებიც დიდხანს შერჩებოდნენ სცენას. სერიოზული შეცდომებით ხასიათდებოდა ს. გაზაევის პიესა „სკოლა".

დრამატურგიაში ასეთი ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების სამხრეთ ოსეთის განყოფილება და მისი პასუხისმგებელი მდივანი ამხ. რ. ასაევი ნაკლებ ინტერესს იჩენენ ლიტერატურის ამ მნიშვნელოვანი ჟანრისადმი, არ ზრდიან ახალგაზრდა დრამატურგებს გამოჩენილი საბჭოთა დრამატურგების ტრადიციებზე. შეიძლება ითქვას, ახალგაზრდა დრამატურგები სრულიად უყურადღებოდ არიან მიტოვებული. გასული წელს საოლქო საბჭოს აღმასკომის ხელოვნების განყოფილებამ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო დრამატულ ნაწარმოებზე, მაგრამ ამ კარგ წამოწყებას თავი ვერ მოაბეს, და ეს კონკურსი ქაღალდზე დარჩა.

სამხრეთ ოსეთის მწერლები დიდ ვალში არიან ჩვენი ბავშვების წინაშე. პატარებს ესაჭიროებათ ისეთი ლიტერატურა, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება კომუნისტური აღზრდის პრინციპები და ის ძვირფასი მორალური თვისებები, რაც ახასიათებს საბჭოთა ადამიანს. წლების განმავლობაში ბავშვების შინაარსიან, ბედნიერ და მრავალფეროვან ცხოვრებაზე თითქმის არაფერი დაწერილა.

საბავშვო ლიტერატურის ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი ამ საქმისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენს, იგი ჩვენს მწერლებს სათანადო მოთხოვნას არ უყენებს, არ ეხმარება.

მართალია, პოეზია სხვა ჟანრებთან შედარებით უკეთ გამოიყურება, მაგრამ აქაც გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. პოეზია ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებებს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩვენი მწერლების შემოქმედებითს შესაძლებლობას.

ბევრი ლექსი თუ პოემა დაწერილია ზერელედ, მოკლებულია მხატვრულობასა და იდეურობას. ცხოვრების სინამდვილე მათში ყალბად არის წარმოდგენილი. შეცდომები გვხვდება გაფეზის რამდენიმე ლექსში. მაგალითად, ლექსში „1951 წელი", პოეტი, ნაცვლად იმისა, რომ წრფელი ხმით უმღეროს მშვიდობას, ამბობს, რომ კვლავ იქნება სისხლისმღვრელი ომები, გაჭირვებული შრომა, არ გვექნება მოსვენება...

კუთხურობისა და ვიწრო ნაციონალიზმის იერი ატყვია ი. პლიევის ზოგიერთ ლექსს. წიგნში „მშობლიური მიწა" იგი უმღერის მთებს, მდინარეებს, ქვებს, ხოლო ივიწყებს ახლისაკენ გზის გამკაფავი საბჭოთა ადამიანის კეთილშობილური სახეს. პოეტი მართალია, ბევრს წერს, მაგრამ ხშირად მოუმზეფველ, დაუმუშავებელ ნაწარმოებებს აწვდის მკითხველს.

ჩვენმა პოეტებმა უნდა იბრძოლონ ლექსის მაღალი იდეურობისათვის, მხატვრული ხარისხის ამაღლებისათვის, პოეზიის ხალხურობისათვის.

სამხრეთ ოსეთის მწერლების და პოეტების ნაწარმოებთა სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები იმითაც არის გამოწვეული, რომ კრიტიკოსები არ იბრძვიან სიყალბის, უფერულობის, ლიტერატურული წუნის წინააღმდეგ.

ზოგჯერ ჩვენი კრიტიკოსები ამა თუ იმ ნაწარმოებს არასწორ შეფასებას აძლევენ — უმართებულოდ აქებენ მას, გვერდს უვლიან ნაკლოვანებებს. სარეცენზიო ნაწარმოებებში ვერ ხედავენ კარგსა და სასარგებლოს. კრიტიკოსებმა ი. ხარებოვმა და ვ. სანაკოევმა არასწორი რეცენზია დაწერეს პოეტ ბ. ფუხაევის ლექსების ციკლზე „ვანათის არხი". კრიტიკოსებმა ავტორს წაუყენეს ბრალდება არარსებულ „შეცდომებში".

როგორც საოლქო პარტიული აქტივის ამას წინათ ჩატარებულ კრებაზე და სამხრეთ ოსეთის მწერალთა საოლქო თათბირზე აღინიშნა, მწერლები ჩამორჩებიან არა მარტო იმ მხრივ, რომ სათანადოდ ვერ იყენებენ თავიანთ შემოქმედებითს შესაძლებლობას, არამედ იმ მხრივაც, რომ ჯეროვნად ვერ უპასუხებენ მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას. ეს კი შეუწყნარებელია.

იდეურ-პოლიტიკური ჩამორჩენა ზღუდავს მწერლის შემოქმედებას. მშრომელთა დიდი ბელადების მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის უკვდავი იდეები მწერალს უნათებენ წინსვლის გზას, შესაძლებლობას აძლევენ ღრმად ჩასწვდეს ცხოვრებას.

მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებამ და მისმა პარტორგანიზაციამ (მდივანი ი. ფილიევი) სერიოზული მუშაობა უნდა გასწიონ მწერლების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ

გერმანელი მშრომელები ემზადებიან 1 მაისისათვის

ბერლინი, 24 აპრილი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან პროლეტარული სოლიდარობის საერთაშორისო დღისათვის — 1 მაისისთვის. ამ წინასადღესასწაულო დღეებში ფართოდ გაჩაღდა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები. მშენებლებთან ერთად მუშაობაში მონაწილეობას იღებს მოსახლეობაც. განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ბერლინის დემოკრატიული სექტორის სამშენებლო მოედნებზე. აქ დილიდან დაღამებამდე გაჩაღებულია მუშაობა.

მთავრდება მარქს-ენგელსის მოედნის რეკონსტრუქციის ფართო სამუშაოები. ამ მოედანზე გაიმართება საპირველმაისო დემონსტრაცია. რესპუბლიკის ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები მშრომელთა საპირველმაისო ვალდებულებათა და ახალ საწარმოო წარმატებათა შესახებ.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ წარმატებებს მიაღწია სატრანსფორმატორო ქარხანა „კარლ ლიბკნეხტის“ (ბერლინი) კოლექტივმა, რომელმაც 21 აპრილისთვის შეასრულა ოთხი თვის საწარმოო დავალება.

ბერლინის მეტალურგიული მრეწველობის საწარმოებს შორის შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა „7 ოქტომბრის სახელობის“ მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი. ფართოვდება პატრიოტული მოძრაობა არსებული საწარმოო ნორმების გადასინჯვისათვის. ეს მოძრაობა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში წარმოიშვა თვით მშრომელთა ინიციატივით და მრეწველობის სულ ახალ დარგებს მოედო.

საწარმოო ნორმების გადასინჯვა გადაწყვეტეს ქალაქ რიზის მეტალურგებმა, ჰალეს მაღაროელებმა, ბერლინის, ლაიფციგის, მაგდებურგისა და დრეზდენის მანქანათმშენებლებმა, ხემნიცის ფეიქრებმა, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქის მშრომელებმა.

საფრანგეთის მშრომელთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის

პარიზი, 24 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, პარიზის რაიონის საავადმყოფოებისა და კომუნალური საწარმოების 6 ათასმა მშრომელმა პროფკავშირების მოწოდების პასუხად გუშინ მოაწყო 24 საათის გაფიცვა. გაფიცულნი ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. გუშინვე გაიმართა საზღვაო არსენალებისა და ფლოტის სხვა სამრეწველო საწარმოების მუშათა მრავალი ხანმოკლე გაფიცვა. ტულონის არსენალში მუშაობა შეწყვიტა 8.500 მშრომელმა. ქალაქ ბრესტში სხვადასხვა პროფკავშირული ორგანიზაციის მოწოდებით გამართული მოკლევადიანი გაფიცვის დამთავრების შემდეგ საზღვაო არსენალის მუშები და მოსამსახურეები შეიკრიბნენ მიტინგზე და მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს შრომის საყოველთაო კონფედერაციის დაპატიმრებულ ხელმძღვანელთა და სხვა დაპატიმრებულ პატრიოტთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ხელფასის მომატებისათვის ორგანიზებულად იბრძვიან საავტომობილო ქარხანა „რენოს“ მუშები. გაფიცვის შედეგად სრულიად შეწყდა მუშაობა ორ საამქროში, სადაც 5 ათასამდე მუშა და მოსამსახურე ითვლება. ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციამ ლოკაუტი გამოაცხადა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ საამქროების მუშები ადგილზე რჩებიან. გაზეთის ცნობით, ამ ორი უდიდესი საამქროს მუშების გაფიცვა საფრთხეს უქმნის მთელი ქარხნის წარმოებას.

ქალაქ ჟენვილის (სენის დეპარტამენტი) „შოსონნოს“ საწარმოებში 30 წუთის გაფიცვის შედეგად ადმინისტრაცია იძულებული გახდა 5 პროცენტით გაეიდიდებინა მუშების ხელფასი. ქალაქ გრან-კურონში (ქვემო სენის დეპარტამენტი) ქაღალდის ფაბრიკა „დარბლეს“ მშრომელებმა მიაღწიეს საათში ხელფასის 11-17 ფრანკით გადიდებას. გამარჯვებას მიაღწიეს აგრეთვე პარიზის ელექტროტექნიკური საწარმო „მილე-ფურნერის“ მუშებმა.

ინდონეზიელი ხალხი თავისი ქვეყნის მიწიერიზაციისა და უცხოელთა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში

კოპენჰაგენი, 24 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკის“ კორესპონდენტი რეიკიავიკიდან იუწყება, რომ გამოჩენილ ისლანდიელ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა გამოაქვეყნა ისლანდიელი ხალხისადმი მიმართვა, რომლითაც მოუწოდებს მას ხელი შეუწყოს იმას, რომ მოწვეულ იქნას სახალხო კონგრესი ისლანდიის მილიტარიზაციის წინააღმდეგ, ამერიკის ჯარების მიერ ისლანდიის ოკუპაციის განგრძობისა და უცხოელთა სარდლობით ისლანდიის არმიის შექმნის გეგმების წინააღმდეგ. კონგრესი უნდა მოეწყოს 5-7 მაისს რეიკიავიკში.

ბეჭრმა პროფკავშირულმა, კულტურულმა, ქალთა და ახალგაზრდათა ორგანიზაციამ უკვე დაუჭირა მხარი კონგრესის მოწვევას.

მდგომარეობა ირანში

ლონდონი, 25 აპრილი. (საკდესი). რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან გადმოგვცემს:

„სპარსეთის შაჰმა 24 აპრილს მიიღო კარის მინისტრის ჰოსეინ ალას გადადგომა.

რამდენიმე ხნის წინათ პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა მოითხოვა, რომ კარის მინისტრს ნიშნავდეს არა შაჰი, არამედ მთავრობა“.

პარიზი, 25 აპრილი. (საკდესი). პარიზის რადიო ეხება რა ჰოსეინ ალას გადადგომას, აცხადებს: „როგორც ცნობილია, დოქტორი მოსადიკი მოითხოვდა, რომ კარის მინისტრს ნიშნავდეს არა შაჰი, არამედ მთავრობა... ჰოსეინ ალა ცნობილი იყო როგორც იმის მტკიცე მომხრე, რომ შაჰი მონაწილეობდეს საქმეთა ხელმძღვანელობაში“.

პარიზი, 25 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან გადმოგვცემს:

„23 აპრილს დილით პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს გენერალ აფშარტუსს ძებნასთან დაკავშირებით, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დაიკარგა, დაპატიმრებულია 17 კაცი.

გარდა ამისა, გამორკვა, რომ 23 აპრილს ნაშუადღევს გადამდგარი გენერალი მოზაიენი და არდეშერ ხაჰედი (წინა დღით დაპატიმრებულნი. — რედ.) პატიმრობიდან გაათავისუფლეს“.

კორეის ამგები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 24 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ფრონტის სამ უბანზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის მზვერავი რაზმების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი.

მოღაპარაკება კორეაში

პეკინი, 24 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციამ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

24 აპრილს მეკავშირეთა ჯგუფების მე-9 სხდომაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადმინისტრაციული ხასიათის მიზეზებით ორივე მხარის სრული შემადგენლობის დელეგაციების შეხვედრა გადადებულია 26 აპრილის დღის 2 საათამდე.

23 აპრილს კორეა-ჩინეთის მხარემ აცნობა მეორე მხარეს, რომ იგი მოახდენს უფრო მეტი სამშვიდრო ტყვის რეპატრიაციას, ვიდრე გათვალისწინებული იყო მეორე მხარისათვის გაგზავნილი ცნობებით, რამდენადაც რეპატრიირებულ იქნებიან არა მარტო ის ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეები, რომლებიც სამხედრო ტყვეთა ბანაკებში იმყოფებიან, არამედ აგრეთვე სამხედრო ტყვეები, რომლებიც ფრონტის ჰოსპიტლებში არიან.

24 აპრილს მეორე მხარემაც აცნობა ჩვენს მხარეს, რომ იმ ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა რიცხვი, რომელთა რეპატრიაციას იგი მოახდენს, სჭარბობს თავდაპირველ მონაცემებს, რომლებიც კორეა-ჩინეთის მხარეს ეცნობა.

24 აპრილს ორივე მხარე განაგრძობდა ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა გაცვლას პანმინჯონში. მეორე მხარისათვის გადაცემული 100 ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვედან 50 კორეელია, 40 ამერიკელი, 4 ინგლისელი, 4 თურქი, 1 კანადელი და 1 ჰოლანდიელი. მეორე მხარემ დააბრუნა 498 სამხედრო ტყვე — კორეის სახალხო არმიის მებრძოლები.

კორეაში ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლის გამო

ფხენიანი, 24 აპრილი. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გუშინ პანმინჯონიდან გადმოსცა თავისი სპეციალური კორესპონდენტის ცნობა, რომელიც შეეხება ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლის მსვლელობას. ავადმყოფი და დაჭრილი ტყვეების რეპატრიაციის მსვლელობა ცხადყოფს უდიდეს განსხვავებას სამხედრო ტყვეებისადმი ორივე მხარის მოპყრობაში. ჩვენს პერსონალთან გამოთხოვებისას ამერიკის მხარის ავადმყოფები და დაჭრილები მადლობას გამოთქვამდნენ ტყვედ ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში მათდამი კარგი, ჰუმანური მოპყრობისათვის. ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის ტყვე მებრძოლნი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აღნიშნავენ, თუ როგორ დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ მათ ბანაკებიდან პანმინჯონში გადაყვანის დროსაც კი.

პეკინი, 23 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა კესონიდან 21 აპრილს გადმოსცა:

დღეს დილით სამხედრო ტყვეთა მეორე ჯგუფი, რომელიც 450 ჩინელი სახალხო მოხალისისა და კორეის სახალხო არმიის 50 სამხედრო მოსამსახურისაგან შედგებოდა, სამშობლოში დაბრუნდა. კორეა-ჩინეთის მხარისათვის გადაცემული სამხედრო ტყვეები საშინლად გამოიყურებოდნენ. თითქმის ყველა მათგანი წარმოადგენდა მოსიარულე ჩონჩხს. ყველას დატანჯული სახე ჰქონდა.

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. (საკდესი). ამ უკანასკნელ დღეებში ამერიკის პრესა ავრცელებს ხმებს თითქოს კორეა-ჩინეთის მხარე სასტიკად ეპყრობოდა ამერიკელ და „მოკავშირეთა“ სამხედრო ტყვეებს კორეაში.

როცა გაათავისუფლეს სამხედრო ტყვეთა პირველი ჯგუფი, პრესაში მოჰყავდათ განთავისუფლებული სამხედრო ტყვეების განცხადებანი იმის შესახებ, რომ ჩინელები მათ კარგად ეპყრობოდნენ. პრესა აღიარებდა, რომ ყველაფერი კარგად მიდის, გაცვლა ხდება შეთანხმებათა შესაბამისად, ხოლო იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰობერეჰტი წერდა, რომ „სისწრაფე, რაც ახასიათებდა გაცვლას პირველ დღეებში, ბედნიერი ნიშანია დაზავების შესახებ მოლაპარაკებისათვის, რაც უნდა განახლდეს 25 აპრილს და ბოლო მოუღოს ჩიხს, რომელიც 1952 წლის ოქტომბერში შეიქმნა“.

მაგრამ 21 აპრილს დილით პანმინჯონიდან გამოგზავნილ ცნობებში მოულოდნელად დაიწყეს მტკიცება „სისასტიკის“ შესახებ, რის საფუძველს თითქოს იძლევა ინტერვიუ ჩინელებისა და სამხრეთკორეელების მიერ განთავისუფლებულ სამხედრო ტყვეთა მეორე ჯგუფთან.

21 აპრილის განმავლობაში კიდევ უფრო გახშირდა ცნობები „სისასტიკის“ შესახებ, იმ მიზნით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელისუფალნი „დაიცვან“ მოწინააღმდეგე მხარის განცხადებებისაგან კოჯედოზე, ჩეჯუდოზე და სხვა ბანაკებში ძალადობის შესახებ, თუ იმ მიზნით, რომ შეაფერხონ სამხედრო ტყვეების წარმატებით დაწყებული გაცვლა. სააგენტოების კორესპონდენტებმა გააჩაღეს ნამდვილი შეჯიბრება „სენსაციების“ გამოგონებაში.

ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთმა კონგრესმენმა, რომელიც კორეაში დაზავების მიღწევის წინააღმდეგია, სწრაფად ჩასჭიდა ხელი სააგენტოების მტკიცებას, რათა წამოაყენოს სხვადასხვა წინადადება, რომელთა მიზანია დაზავების შესახებ მომავალი მოლაპარაკების ჩაფუშვა.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მაშინ როცა ზოგიერთი კონგრესმენი მოითხოვს დაზავების შესახებ მოლაპარაკების შეფერხებას, „სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „არავის არ შეუძლია ნამდვილად გონიერულად შეაფასოს“ ეს ცნობები, სანამ ყველა სამხედრო ტყვე, რომელთა გაცვლა წარმოებს, არ იქნება განთავისუფლებული და ოფიციალურად დაკითხული“.

ბონის პარლამენტის ზედა პალატამ გადადო ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია

ბერლინი, 24 აპრილი. (საკდესი). დღეს ბონის პარლამენტის ზედა პალატა (ბუნდესრატი) იხილავდა ადენაუერისა და დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილ ბონისა და პარიზის სპეციალურ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის საკითხს.

როგორც ცნობილია, ა. წ. 19 მარტს ბონის პარლამენტის ქვედა პალატამ (ბუნდესტაგმა), გერმანიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნების წინააღმდეგ, მესამე საბოლოო წაკითხვით დაამტკიცა ეს ხელშეკრულებები. იმისათვის, რომ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებებს, - რომლებიც ითვალისწინებენ გერმანიის გათიშვის სამუდამოდ დაკანონებას და დასავლეთ გერმანიის აგრესიული არმიის შექმნას მიეცეს კანონის ძალა, ისინი უნდა დაამტკიცოს ბუნდესრატმა. გარდა ამისა, ამ ხელშეკრულებების გამო უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის უმაღლესმა საკონსტიტუციო ორგანომ — კარლსრუეს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ. ფედერალურმა სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულებათა კონსტიტუციურობის შესახებ, რამდენადაც სასამართლოს წარედგინა ოფიციალური განცხადებანი იმის შესახებ, რომ სპარატული ხელშეკრულებანი ეწინააღმდეგებიან ბონის შეკვეცილ კონსტიტუციასაც კი.

მაგრამ ადენაუერმა, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება მალე შეიყვანოს ძალაში სპარატული ხელშეკრულებანი, არ დაუცადა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და მოითხოვა, რომ ბუნდესრატს 24 აპრილს განეხილა ბონისა და პარიზის ხელშეკრულებანი.

თავის გამოსვლაში ბუნდესრატის სხდომაზე ადენაუერი ცდილობდა ყოველგვარი საშუალებით მოეხდინა ზეგავლენა დეპუტატებზე, რათა განეხორციელებინა ხელშეკრულებათა რატიფიკაცია.

მაგრამ მიუხედავად ადენაუერისა და მისი მომხრეების ზემოქმედებისა, ბუნდესრატმა ხმის უმრავლესობით დაადგინა გადაიდოს ხელშეკრულებათა რატიფიკაცია მანამდე, სანამ ფედერალური სასამართლო არ გამოთქვამს აზრს მათი კონსტიტუციურობის შესახებ. ამ წინადადებას ხმა მისცა 20 კაცმა. წინააღმდეგ — 18-მა. (ბუნდესრატში შედიან დასავლეთ გერმანიის მხარეთა წარმომადგენელნი, რამდენიმე კაცი თვითეული მხარიდან, ამიტომ მისი შემადგენლობა მცირერიცხოვანია).

ბერლინი, 24 აპრილი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო ბონიდან იუწყება:

დღეს ბუნდესრატის სხდომის დამთავრების შემდეგ ადენაუერმა განაცხადა, რომ 28 აპრილს იგი ხელშეკრულებებს ხელმოსაწერად წარუდგენს დასავლეთ გერმანიის პრეზიდენტს ჰაისს. ამრიგად ადენაუერი განაგრძობს „ცივი“ სახელმწიფო გადატრიალების პოლიტიკას, რომელიც მან დაიწყო გასული წლის დეკემბერში, როცა ჰაისი აიძულა წამოეყო ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოდან განცხადება, რომელიც იგი მოითხოვდა სასამართლოს უფლებრივ დასკვნას ხელშეკრულებათა შესახებ.

ბონის კონსტიტუციის თანახმად, ეს ხელშეკრულებები შეიძლება წარედგინოს ჰაისს არა უადრეს 8 მაისისა იმ „დასაბუთებით“, რომ ბუნდესრატმა არ ისარგებლა თავისი უფლებით გამოეთქვა აზრი ამ ხელშეკრულებათა შესახებ. ამრიგად, ჰაისზეა დამოკიდებული, კვლავ მოითხოვს თუ არა იგი თავის მხრივ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებრივ დასკვნას ჯერ კიდევ ხელშეკრულებათა ხელმოწერამდე და ძალაში შესვლამდე.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესიაზე

პარიზი, 24 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, დღეგანდელ დილის სხდომაზე ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესია იხილავდა დღის წესრიგის პუნქტს, რომლის „სათაურია „აზრთა გაცვლა საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ“. სააგენტო აზუსტებს, რომ ეს სხდომა მიეძღვნა, უმთავრესად, „ევროპის არმიის“ შექმნის საკითხს. ამის გამო გამოვიდა საფრანგეთის მინისტრი ჟორჟ ბიდო, რომელმაც განაცხადა, რომ „ევროპის არმიის“ შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლა ახლა დამოკიდებულია მხოლოდ მის რატიფიკაციაზე შესაბამისი ქვეყნების პარლამენტების მიერ. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, და რამდენადაც ზოგიერთ ქვეყანაში უნდა მოეწყოს პარლამენტის არჩევნები, განაცხადა შემდეგ ბიდომ, შეუძლებელია დაწესდეს პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციის ზუსტი თარიღი.

ბიდოს ეს განცხადება, ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ბასუხი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის მოთხოვნაზე, რომ პარიზის სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაცია ჰოხდეს 30 ივნისამდე.

დღეგანდელ დღის სხდომაზე სესია იხილავდა აეიციისათვის მიწისზედა ნაგებობათა მშენებლობის საკითხს. ფრანს პრესის სააგენტომ გადმოსცა, რომ საბჭომ ამ ნაგებობათა მშენებლობის პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია სამი წლისათვის, დამტკიცა 317 მილიონი გირვანქა სტერლინგის თანხით.

გაზეთი „მონდი“, ადარებს რა ბიდოს სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა „საფრანგეთის რესპუბლიკის მეგობართა ასოციაციის“ მიერ გამართულ საუზმეზე და რომელშიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის არ უხსენებია „ევროპის არმია“, და დალესის განცხადებას პრესკონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა, უმთავრესად, სწორედ ამ საკითხს, წერს:

— „ამ ორი გამოსვლის შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ვაშინგტონი სულ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს ჩვენზე, რათა დაჩქარის ევროპის არმიის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია, და რომ საფრანგეთის მთავრობას, რომელიც გრძნობს წინააღმდეგობას პარლამენტში და სახელმწიფოში, არ ძალუძს მისცეს მას (ვაშინგტონს) სავსებით დამაკმაყოფილებელი დაპირებანი“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მარტო ფრანგები როდი იჩენენ თავშეკავებას და რომ „არც ერთი ევროპელი არავითარ ენთუზიაზმს არ განიცდის ევროპის არმიის შექმნის გამო, რომლის აუცილებლობა ჯერ არ მაჩნია გადაუდებლად, ხოლო მისი პერსპექტივები — სანდოდ“.

საღამოსასწაულო ვაჭრობა სოფლად

წინასადღესასწაულო და დღესასწაულის დღეებში ცეკავშირმა მნიშვნელოვნად გაადიდა საქონლის შეზიდვა საკოლმეურნეო სოფლის უკეთ მომარაგებისათვის. ამ უკანასკნელ დღეებში სოფლის მაღაზიებმა მიიღეს 13 მილიონი მანეთის ბამბეულის, ერთი მილიონი მანეთის შალეულის ქსოვილები, 3,5 მილიონი მანეთის აბრეშუმის ნაწარმი, 2 მილიონი მანეთის სხვადასხვა შეკერილი ტანსაცმელი, 4,5 მილიონი მანეთის ფეხსაცმელი, ქალის და მამაკაცის წინდები. სადღესასწაულოდ აპრილის ბოლომდე ცეკავშირის მაღაზიები მიიღებენ კიდევ 50 მილიონზე მეტი მანეთის სხვადასხვა სამრეწველო საქონელს.

ბოლო ხანებში სოფლის მაღაზიებმა მიიღეს აგრეთვე 28 ტონა თევზი, 60 ათასი ცალი თევზის კონსერვი, 25 ტონა ცხიმი, 700 ტონა შაქარი, 300 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 3,5 მილიონი მანეთის თამბაქოს, აგრეთვე დიდძალი მაკარონისა და ბურღულის ნაწარმი. სოფლის მოსახლეობას ამ დღეებში მიეყიდა 700 ათასი მანეთის ემალის, 200 ათასი მანეთის ალუმინისა და 1.200 ათასი მანეთის მოთუთიავებული ჭურჭელი, აგრეთვე თოკი და სხვა საჭირო საქონელი.

მშრომელთა მომსახურება საპირველმაისოდ

საპირველმაისო დემონსტრაციისა და სახალხო სეირნობის დღეებში სავაჭრო ორგანიზაციები ფართო მომსახურებას გაუწევენ მოსახლეობას. მოეწყობა ფართო დატარებები ვაგონებით. დიდი რაოდენობით იქნება გამოტანილი ლვეზელი, პუტერბროდი, ფუნთუშა, ცხელი სოსისკი და კატლეტი, საკონდიტრო ნაწარმი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, რძის, ნაღების, შოკოლადის და ნუშის მაღალხარისხოვანი ნაყინი, პლომბირი. თბილისში დატარებითი ვაჭრობისათვის გამოყოფილია 50 სპეციალური ავტომანქანა და 165 ხელით დამტარებელი.

მოსახლეობის უკეთ მომსახურებისათვის ქალაქებში სამრეწველო მაღაზიები იმუშავებენ ორშაბათს — 27 აპრილს, 27, 28, 29 და 30 აპრილს სასურსათო და პურ-ფუნთუშის მაღაზიები ივაჭრებენ ღამის 12 საათამდე, ხოლო სამრეწველო მაღაზიები — საღამოს 10 საათამდე.

აგროტექნიკოსთა ახალი კადრები

ქობულეთი. (საკ. კორ.). სამი წლის წინათ ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდა აგროტექნიკოსთა სამწლიანი კურსები, რომლებზეც 18 კაცი სწავლობდა. მათ შორის იყვნენ მოწინავე ბრიგადირები, მერგოლურები და კოლმეურნეები. კურსებს ხელმძღვანელობდა აგრონომი ე. ჩხარტიშვილი. ამ დღეებში კურსებმა დაამთავრა მუშაობა. 18 მსმენელიდან 12 მსმენელმა გამოცდები ჩაბარა ხუთებზე, ხოლო ექვსმა — ოთხებზე.

განსაკუთრებული წარმატება გამოიჩინეს უხვი მოსავლის ოსტატმა სოციალისტური შრომის გმირმა გალინა ჩხარტიშვილმა, მერგოლურებმა პ. გოლიაძემ, უ. ბერიძემ, კოლმეურნე ე. ნაკაშიძემ, ბრიგადირმა ლ. ლომთაძემ და სხვებმა.

კურსებმა წარმატებით დაამთავრა მუშაობა აგრეთვე ამავე რაიონის სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერები უკრაინულ ენაზე



ამ ცოტა ხნის წინათ უკრაინის მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ კიევში გამოსცა აკაკი წერეთლის რჩეულ პოეტურ ნაწარმოებთა ერთტომეული. კრებულში შესულია პოეტის საუკეთესო ლირიკული ლექსები და პოემები. მათი თარგმანები ეკუთვნის მოწინავე უკრაინელ პოეტებს პ. ტიჩინას, მ. რილსკის, მ. ბაჟანს, ვ. სოსიურას, ლ. დმიტერკოს, ა. ნოვიცკის, მ. ნაგნიბედას, ა. მალიშკოს, ლ. პერგომაისკის, ს. გოლოვანივსკის, ი. შპორტას, ბ. ტურგეზენკოს და სხვ.

კრებულში შესულია პოემები „ნათელა“, „გამზრდელი“, „თორნიკე ერისთავი“ და დრამა „პატარა კახი“.

აკაკის ნაწარმოებთა ერთტომეული გამოცემულია გამოჩენილი უკრაინელი პოეტის, რუსთაველისა და გურამიშვილის ცნობილი მთარგმნელის მიკოლა ბაჟანის რედაქციით. ერთტომეულს წინ უძღვის ლევან ასათიანის წერილი აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

წიგნი ლამაზად და გემოვნებით არის გამოცემული, ჩასმულია მაგარ ყდაში და შეიცავს 337 გვერდს.

ფილარმონიის კონცერტები სამაისო დღეებში

მაისის დღესასწაულის დღეებში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია აწყობს ანსამბლებისა და შემოქმედებითი ბრიგადების გასვლას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

გამსვლელი კონცერტები მოეწყობა გორის, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის, ტყვარჩელისა და ტყიბულის კულტურის სახლებში. ამ კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ საესტრადო ანსამბლი ჯ. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით, ქართული ესტრადის თეატრი, საესტრადო ხელოვნების ყველა ჟანრის მსახიობთა 3 ბრიგადა და ახლად ჩამოყალიბებული მეჩონგურეთა ანსამბლი, რომელიც 25 შემსრულებლისაგან შედგება. ამ ანსამბლს ხელმძღვანელობს თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მომღერალი ნ. ფოცხვერაშვილი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

დინამოელთა პირველი თამაში

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ფეხბურთელთა მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის XV ჩემპიონატში მონაწილე გუნდები — ლენინგრადის „ზენიტი“ და თბილისის „დინამო“.

თამაშის დასაწყისიდანვე თავი იჩინა დინამოელთა უპირატესობამ, თავდასხმელთა ტემპიანმა და შეწყობილმა ნახევარსაათიანმა თამაშმა უშედეგოდ განვლო. 31-ე წუთზე ლენინგრადელთა მარცხენა გარემარბმა ა. ივანოვმა კარგად გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი და ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში.

შეჯიბრების მეორე ნახევარი თბილისის დინამოელთა უპირატესობით აღინიშნა, „ზენიტის“ საჯარიმო მოედანზე ზედიზედ იქმნება კრიტიკული მომენტი. ლენინგრადელები ჯარიმდებიან. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით ღოლობერიძე ათანაბრებს ანგარიშს. მალე დინამოელები კიდევ ერთი ბურთით ადიდებენ ანგარიშს. 39-ე წუთზე ა. ღოლობერიძეს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით მესამე ბურთი გაატარა „ზენიტის“ კარში.

თამაში დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით, ანგარიშით 3 : 1.

* * *

გუშინ კიევში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის სამხედრო ოლქისა და „ტორპედოს“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა მვო-ს გამარჯვებით ანგარიშით 1 : 0.

„ბ“ კლასის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი

2 მაისიდან მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებისა და ჩვენი ქვეყნის დიდი სამრეწველო ცენტრების სტადიონებზე დაიწყება „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა საბჭოთა კავშირის 1953 წლის პირველობისათვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 27 გუნდი.

საკავშირო ჩემპიონატში მებრძოლი გუნდები დაყოფილია სამ ქვეჯგუფად.

პირველ ქვეჯგუფში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის, ერევნის „დინამოს“, ბაკოს „ნეფტიანიკის“, თბილისის „სპარტაკის“, დონის როსტოვის „ტრაქტორის“, ალმა-ატის „დინამოს“, აშხაბადის „სპარტაკის“, ტაშკენტის ოფიცერთა საოლქო სახლის და ლენინაბადის ფეხბურთელთა კოლექტივები.

მეორე ქვეჯგუფში ჩარიცხული არიან: რიგის „დაუგავა“, ივანოვოს „კრასნოე ზნამია“, სამხედრო-საზღვაო ძალების, კიშინიოვის „ბურევესტნიკის“ და სხვა გუნდები. მესამე ქვეჯგუფში — სტალინოს „შახტიორის“, გორკის „ტორპედოს“, ზაპოროჟიეს „მეტალურგის“, სტალინგრადის „ტორპედოს“ და სხვა გუნდები.

შეჯიბრება ჩატარდება ორ წრედ. ქვეჯგუფებში გამარჯვებული ორ-ორი გუნდი (სულ ექვსი) გაითამაშებს ფინალს. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ფეხბურთელთა კოლექტივი გადაყვანილ იქნება „ა“ კლასში.

პირველ კალენდარულ შეხვედრებს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და „სპარტაკის“ გუნდები ჩაატარებენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. 2 მაისს ტოდო ითამაშებს აშხაბადის „სპარტაკთან“, 10 მაისს — ალმა-ატის „დინამოსთან“, 16 მაისს — ლენინაბადის გუნდთან. თბილისის „სპარტაკი“ 3 მაისს ითამაშებს ტაშკენტის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდთან, 9 მაისს — აშხაბადის „სპარტაკთან“, 17 მაისს — ალმა-ატის „დინამოსთან“.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

26 აპრილს	დღის 12 საათზე დ. თორაძე — **გოგრდა** საღამოს ლ. დელიბი — **ლაკმე**
28 აპრილს	ჯ. ვერდი — **ტრავიატა**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

გაგრძელება

ჩინური აბრაკადაბრის ბაზრობისა

მსახიობ ვან იუ-ლის

ხელმძღვანელობით და მონაწილეობით

და დიდი მრავალფეროვანი საცირკო

პროგრამა.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კვირას, 26 აპრილს

დღის ორი სეანსი

დასაწყისი I—12 ს. II—3 ს.

ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის **სალაროებში.** მიიღება შეკვეთები **კოლექტიურ დასწრებაზე.**

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.